საჯარო ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 81 (10475)
ხუთშაბათი
5
აპრილი
1956 წ.
ფასი 20 კაპ.

## დღეს ნომერში:

საბჭოთა კავშირ-შვეციის კომუნიკე (1-ლი გვერდი).
ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).
ვ. გინზბურგი. — სიახლენი აგურის წარმოებაში (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება. — ვ. შუკაკიძე. — პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა ღრმად შესწავლისათვის (მე-2 გვერდი).
მოწინავეთა გამოცდილება — მასებს. — ა. ხელაშვილი. — რას გვასწავლის ბომბორელ მევენახეთა მუშაობა (მე-2 გვერდი).
ე. ხარებავა. — დახარჯული მილიონები, [illegible] შენობები (მე-2 გვერდი).
გ. ციციშვილი. — დრამატურგიის [illegible] დებითი წარმატება (მე-3 გვერდი).
შრომითი აღმავლობა საკოლმეურნეო სოფლებში (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

# საბჭოთა კავშირ-შვეციის კომუნიკე

ა. წ. 29 მარტიდან 4 აპრილამდე მოსკოვში საბჭოთა მთავრობის მოწვევით იმყოფებოდა შვეციის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი ტაგე ერლანდერი.

პრემიერ-მინისტრ ტ. ერლანდერსა და მასთან ერთად ჩამოსულ შინაგან საქმეთა მინისტრ გ. ჰედლუნდს მოსკოვში მოლაპარაკება ჰქონდათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ნ. ა. ბულგანინთან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრთან, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან ნ. ს. ხრუშჩოვთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან ვ. მ. მოლოტოვთან, აგრეთვე საბჭოთა კავშირის სხვა ხელმძღვანელ მოღვაწეებთან.

ამ საუბრებში შვეციის მხრივ აგრეთვე მონაწილეობა მიიღეს: შვეციის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში რ. სულმანმა, შვეციის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური განყოფილების გამგემ ელჩმა გ. იარინგმა, სსრ კავშირში შვეციის საელჩოს მრჩეველმა ლ. პეტრიმ, პრემიერ-მინისტრის პირადმა მდივანმა უ. პალმემ, შვეციის საგარეო საქმეთა სამინისტროს მე-2 მდივანმა გ. ლორენტცონმა, პრეს-ატაშემ ს. ფრიკიუსმა.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუბრებში აგრეთვე მონაწილეობას იღებდნენ: სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ი. გ. კაბანოვი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ნ. ა. მიხაილოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი შვეციაში კ. კ. როდიონოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სკანდინავიის ქვეყნების განყოფილების გამგე მ. გ. გრიბანოვი, შვეციაში სსრ კავშირის საელჩოს მრჩეველი ნ. მ. ლუნკოვი და მრჩეველი ა. მ. ალექსანდროვი.

მოლაპარაკების დროს ორივე ქვეყნის წარმომადგენლებს შესაძლებლობა ჰქონდათ ეწარმოებინათ აზრთა გულახდილი და სასარგებლო გაზიარება უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირ-შვეციის ურთიერთობის საკითხზე, მაგრამ აგრეთვე ზოგად საერთაშორისო საკითხებზე, რომლებიც ორივე მხარის ინტერესებს ეხება. მოლაპარაკება მიმდინარეობდა მეგობრობისა და კეთილმეზობლობის სულისკვეთებით, რაც ახასიათებს შვეციისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობას.

აღინიშნა, რომ ორივე ქვეყანა დაინტერესებულია ურთიერთ სავაჭრო გაცვლის შემდგომი განვითარებით. ორივე ქვეყნის პრაქტიკული ფორმების კეთილი თანამშრომლობის მაგალითად დასახელებულ იქნა შეთანხმება საავარიო-მაშველ სამსახურთა თანამშრომლობის შესახებ, დადებული 1954 წელს და გაფართოებული შემდეგში.

ამ დღეებში დადებული საბჭოთა კავშირ-შვეციის შეთანხმება საჰაერო მიმოსვლის შესახებ შესაძლებელს ხდის, რომ უახლოეს მომავალში დამყარდეს პირდაპირი საჰაერო მიმოსვლა სტოკჰოლმსა და მოსკოვს შორის.

მხარეებმა დაადასტურეს მიღწეული შეთანხმება იმის შესახებ, რომ დაიწყონ მოლაპარაკება საბჭოთა კავშირ-შვეციის 1941 წლის შეთანხმების შესაბამისად ზოგიერთი დარჩენილი ურთიერთ პრეტენზიის მოწესრიგების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია ბალტიისპირა რესპუბლიკების შესვლასთან საბჭოთა კავშირში. უახლოეს მომავალში მოსკოვში ჩამოვა შვეციის დელეგაცია ასეთი მოლაპარაკების დასაწყებად.

შემდეგ მოლაპარაკების მსვლელობაში აღინიშნა, რომ ამ ბოლო დროს სასიხარულოდ გაფართოვდა მეცნიერული და კულტურული კონტაქტები, რომლებსაც ორივე მხარე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. მხარეებმა გამოთქვეს ერთსულოვანი აზრი იმის შესახებ, რომ სამხატვრო ანსამბლების დელეგაციებისა და სხვადასხვა სპეციალობის ტექნიკურ ექსპერტთა ჯგუფების ურთიერთგაგზავნა, სპორტული გაცვლა და ტურიზმი მნიშვნელოვნად განამტკიცებენ ურთიერთობას და გაადიდებენ ურთიერთგაგებას ორივე ხალხს შორის. მიღწეულ იქნა შეთანხმება იმის შესახებ, რომ ორივე ქვეყნის სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც უცხოეთთან კულტურული კონტაქტების საკითხებზე მუშაობენ, შესაბამისად შეუწყობენ ხელს ამ დარგებში გაცვლის განვითარებას.

კულტურული და მეცნიერული ურთიერთობის საკითხზე დისკუსიის დროს მიღწეულ იქნა შეთანხმება იმის შესახებ, რომ უახლოეს დროში უნდა განხორციელდეს, კერძოდ, შემდეგი კონკრეტული პროექტები: კვალიფიციური მეცნიერ-მკვლევარი მუშაკების გაცვლა, უწინარეს ყოვლისა მედიცინის, ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკურ მეცნიერებათა დარგში, ამასთან მიმღები ქვეყანა აანაზღაურებს ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია ამ ქვეყანაში ყოფნასთან და მეცნიერული მუშაობის შესრულებასთან; მეცნიერ მუშაკთა დაშვება შესაბამისი ქვეყნის არქივებსა და ბიბლიოთეკებში; ლიტერატურისა და გამოცემათა გაცვლის გაფართოება ორივე ქვეყნის სამეცნიერო და კულტურულ დაწესებულებებს შორის. შვეციის მხარემ გამოთქვა სურვილი გამოგზავნონ ექსპერტთა დელეგაცია საბჭოთა კავშირში უმაღლესი განათლების ორგანიზაციის შესასწავლად. საბჭოთა მხარემ გამოთქვა ინტერესი, რომ ანალოგიურად შესწავლილ იქნას ტექნიკური კადრების მომზადება შვეციაში. კონკრეტული შეთანხმებანი გაცვლის ამ პროექტების შესახებ მიღწეულ იქნება დიპლომატიური გზით.

შვეციის მხარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს საკითხს, თუ რა ბედი ეწია შვედ დიპლომატს რაულ ვალენბერგს, რომელიც ომის ბოლოს გაქრა ბუდაპეშტში. მოლაპარაკების დროს შვეციის მხარემ გადასცა მის ხელთ არსებული მასალა ვალენბერგის შესახებ და სთხოვა, რომ შესაბამისმა საბჭოთა ხელისუფლებმა განიხილონ და შეამოწმონ ეს მასალა. საბჭოთა მხარემ განაცხადა, რომ მზად არის გააკეთოს ეს. ამავე დროს აღინიშნა, რომ ვალენბერგს, საბჭოთა კავშირში რომ ყოფილიყო იგი, რა თქმა უნდა, მიეცემოდა შესაძლებლობა შინ დაბრუნებულიყო. ინფორმაცია გამოძიების შედეგების შესახებ გადაეცემა დიპლომატიური გზით.

შესაძლო განცხადებანი შვეციის მოქალაქეთა ან შვეციის ყოფილ მოქალაქეთა მხრივ, რომლებიც საბჭოთა კავშირში ცხოვრობენ, რომ მათ და მათი ოჯახის წევრებს ნება დაერთოთ დაბრუნდნენ შვეციაში, განხილულ იქნება კეთილმოსურნეობის სულისკვეთებით, თუ შესაბამისი პირები გამოთქვამენ შვეციაში წასვლის სურვილს. ასევე შვეციის ხელისუფალნი არავითარ დაბრკოლებას არ შეუქმნიან საბჭოთა მოქალაქეების ან ყოფილი საბჭოთა მოქალაქეებისა და მათი ოჯახის წევრების გამგზავრებას საბჭოთა კავშირში, რომლებიც მოისურვებენ საბჭოთა კავშირში წასვლას.

საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ აზრთა გაცვლის დროს შვეციის პრემიერ-მინისტრმა და შვეციის შინაგან საქმეთა მინისტრმა აღნიშნეს, რომ შვეცია ახორციელებს მშვიდობიან დროს კავშირებისაგან თავისუფლების თავის ტრადიციულ პოლიტიკას, რომლის მიზანია ომის შემთხვევაში ნეიტრალიტეტის დაცვა იმ ვალდებულებათა ფარგლებში, რომლებსაც აკისრებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრობა, და რომ შვეციის მხარის აზრით, ეს საგარეო პოლიტიკა შეესაბამება არა მარტო შვეციის ინტერესებს, არამედ მან ხელი უნდა შეუწყოს აგრეთვე მშვიდობიან და მეგობრულ ურთიერთობას ევროპის ამ ნაწილში. საბჭოთა მხარემ განაცხადა, რომ სსრ კავშირი, ისევე როგორც დღემდე, პატივს სცემს შვეციის ამ პოლიტიკას — კავშირებისაგან თავისუფალ და მშვიდობიან პოლიტიკას.

შემდეგ თვითეულმა მხარემ ხაზგასმით აღნიშნა თავისი ქვეყნის დაინტერესებულობა იმით, რომ ხელი შეუწყოს საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებასა და ხალხთა მშვიდობიანი თანამშრომლობის განვითარებას იმ პრინციპების საფუძველზე, რომლებიც გამოხატულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში და რომლებიც შეიცავენ, კერძოდ, წევრ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის პატივისცემას, თავდაუსხმელობასა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობას.

ორივე მხარემ განაცხადა, რომ მზად არიან მხარი დაუჭირონ განუწყვეტელ მისწრაფებას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიღწეულ იქნას პრაქტიკული შედეგები როგორც შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების რიცხვის საყოველთაო შემცირების მხრივ, ისე ატომური იარაღის აკრძალვისა და მისდამი კონტროლის, აგრეთვე ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საქმეში საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოების მხრივ.

აზრთა ურთიერთგაზიარებას მოჰყვა მოლაპარაკების დროს აღძრულ საკითხებზე ორივე მხარის თვალსაზრისთა უფრო ღრმად გაგება, რაც ხელს შეუწყობს შვეციისა და საბჭოთა კავშირის კეთილმეზობლური ურთიერთობის განმტკიცებას.

მოსკოვში ყოფნის შემდეგ შვეციის პრემიერ-მინისტრი ტ. ერლანდერი და მისი მეუღლე და შინაგან საქმეთა მინისტრი გ. ჰედლუნდი და მისი მეუღლე, აგრეთვე სხვა პირები, რომლებიც მათთან ერთად ჩამოვიდნენ, რამდენიმე დღეს იმოგზაურებენ საბჭოთა კავშირში, კერძოდ ჩავლენ სოხუმში, თბილისში, ერევანში, კიევსა და ლენინგრადში.

# ჩვენს დიად სამშობლოში

## მაკეევკელთა ძვირფასი ინიციატივა

მაკეევკა. (საკდესი). დონეცის აუზის შახტებში ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. ძვირფასი ინიციატივა გამოიჩინეს ტრესტ „მაკეევუგოლის" № 1/2 შახტის მესამე უბნის მეშახტეებმა. განიხილეს რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შედეგები, მათ იკისრეს ვალდებულება შინარეზერვების გამოყენებით შეამცირონ თვითეულ ციკლზე შრომის ხარჯვა, წლიური გეგმის გადამეტებით ამოიღონ სულ ცოტა 12 ათასი ტონა ქვანახშირი და დაზოგონ 600 ათასი მანეთი.

მექანიზატორებმა 20 სანტიმეტრით გაადიდეს საყელავი მანქანის ბარი და ერთ ციკლში 30-40 ტონით მეტ ქვანახშირს იღებენ. გამომუშავებული სივრცის ნაწილობრივ ვსების ნაცვლად გამოყენებულია სახურავის ჩამონგრევა ლავის ზემო ნაწილში, რამაც შესაძლებელი გახადა განთავისუფლებულიყო ოთხი დამხმარე მუშა. სიგრძე ემატება ლავში ვაგონეტების ასაქცევს. ახლა უბანში ლიკვიდირებულია მოცდენა ცარიელი ვაგონეტების ნაკლებობის გამო.

ამის შედეგად თვითეულ ციკლზე დანახარჯები ახლა საშუალოდ 25 პროცენტით შემცირდა. მარტო მუშათა განთავისუფლებით უბანზე იზოგება დაახლოებით 50 ათასი მანეთი თვეში.

მოწინავე კოლექტივმა ვადამდე შეასრულა კვარტალური გეგმა. წლის დამდეგიდან გეგმის გადაჭარბებით ამოღებულია 7 ათას ტონაზე მეტი სათბობი.

ამ თაოსნობას აქტიურად დაუჭირეს მხარი მაკეევკის ქვანახშირის სხვა საწარმოებში.

## ახალი სამეცნიერო-საკვლევი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი

ხარკოვი. (საკდესი). მუშაობა დაიწყო უკრაინის სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მემცენარეობის, სელექციისა და გენეტიკის ინსტიტუტმა. ახალი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება იმუშავებს უხვმოსავლიანი ჯიშის მარცვლეული, მარცვლეულ-პარკოსანი, საბურღული და ზეთოვანი კულტურების სელექციის მეთოდების შემუშავებისა და გამოყენების საკითხებზე.

დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე აგროტექნიკის მოწინავე ხერხების კომპლექსის შემუშავებას.

ინსტიტუტი კვლევითს მუშაობას აწარმოებს როგორც თავის საექსპერიმენტო მეურნეობებში, ისე მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

## შვეციის პრემიერ-მინისტრმა ტ. ერლანდერმა ინახულა ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მავზოლეუმი

საბჭოთა მთავრობის მოწვევით მოსკოვში მყოფმა შვეციის პრემიერ-მინისტრმა ტ. ერლანდერმა და მისმა თანამხლებმა პირებმა 4 აპრილს ინახულეს ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მავზოლეუმი და გვირგვინით შეამკეს.

შვეციის პრემიერ-მინისტრ ტ. ერლანდერს ახლდნენ სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი შვეციაში კ. კ. როდიონოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი, მოსკოვის კრემლის კომენდანტი გენერალ-ლეიტენანტი ა. ი. ვედენინი, აგრეთვე შვეციის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში რ. სულმანი.

შვეციის პრემიერ-მინისტრთან ერთად ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მავზოლეუმი ინახულა შვეციის პრესის წარმომადგენელთა ჯგუფმა. (საკდესი).

## დონბასელთა პასუხი კუზბასის მეშახტეთა მოწოდებაზე

კიევი, 29 მარტი. (საკდესი). სტალინოს ოლქის ქვანახშირის მრეწველობის შახტების, მშენებლობების, ქარხნების, გამამდიდრებელი ფაბრიკების, საპროექტო და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების კოლექტივები მხურვალედ გამოეხმაურნენ კუზბასის მეშახტეების, შახტმშენებლების, საწარმოთა ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების მიმართვას შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდისა და 1956 წლის — მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ და კონკრეტული ვალდებულებანი იკისრეს.

ქვანახშირის ტრესტების კოლექტივებმა გადაწყვიტეს მნიშვნელოვნად გაადიდონ ქვანახშირის ამოღება 1955 წელთან შედარებით, წლიური გეგმის გადაჭარბებით ამოიღონ მრავალი ათასი ტონა ქვანახშირი, გაადიდონ შრომის ნაყოფიერება და ქვანახშირის თვითღირებულების შემცირებით გეგმის გადაჭარბებით მიიღონ რამდენიმე მილიონი მანეთი ეკონომია.

კომბინატ „სტალინშახტოსტროის", არტემოვსკის საბინაო მშენებლობის ტრესტის № 1 საბინაო-სამშენებლო სამმართველოს მუშებმა, გორლოვკის კიროვის სახელობის ქარხნის კოლექტივმა, ტორეცის ვოროშილოვის სახელობის ქარხნის მანქანათმშენებლებმა, სტალინოს უკრაინის ალკკ 15 წლისთავის სახელობის მანქანათმშენებელმა ქარხანამ, სტალინოს შახტების დამპროექტებელი სახელმწიფო ინსტიტუტის მუშაკებმა, ქვანახშირის მანქანების დამპროექტებელი სახელმწიფო ინსტიტუტის დონეცის ფილიალმა, არტემოვსკის ქარხანა „შრომის გამარჯვების", იასინოვატაიას მანქანათმშენებელი ქარხნის, დონეცის ქვანახშირის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კოლექტივებმა აგრეთვე იკისრეს კონკრეტული გაზრდილი ვალდებულებანი.

განიხილეს რა ვალდებულებანი თავიანთ კრებებზე, სტალინოს ოლქის ქვანახშირის მრეწველობის შახტების, მშენებლობების, ქარხნების, გამამდიდრებელი ფაბრიკების, საპროექტო და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების კოლექტივები წერენ:

— ჩვენ პირობას ვაძლევთ მშობლიურ კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას, რომ არ დავიშურებთ ძალებს, რათა ღირსეულად შევასრულოთ ეს ვალდებულებანი. ჩვენ მხურვალედ ვუჭერთ მხარს წინადადებას დონბასისა და კუზბასის მეშახტეთა შორის სოციალისტური შეჯიბრების განგრძობის შესახებ. ეჭვი არ არის, რომ ეს ტრადიციული შეჯიბრება დახმარებას გაგვიწევს მოვიპოვოთ ახალი შრომითი წარმატებანი, ღირსეულ წვლილს შევიტანს საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში 1956 წლის — მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

## ამუშავდა მეორე საკოქსე ბატარია

ჩერეპოვეცი, 1 აპრილი. (საკდესი). გუშინ ჩერეპოვეცის მეტალურგიული ქარხნის კოქს-ქიმიური საამქროს მეორე ბატარიამ გამოუშვა პირველი კოქსი.

ამ ბატარიის აგებაზე მუშაობდნენ იმ ბრიგადების მემონტაჟეები, რომლებსაც ამხ. ნევეროვსკი, ლვოვი, უსტინოვი ხელმძღვანელობენ.

მშენებლები ასამუშავებლად ამზადებენ ახალ სიმძლავრეებს, მიმდინარეობს აგლომერატის ფაბრიკის მეორე ლენტის მექანიზმების კომპლექსური გამოცდა. გასაშრობად არის მეორე ბრძმედი, რომელიც რამდენიმე დღის შემდეგ გამოუშვებს თუჯს.

## ახალი სამეცნიერო-პოპულარული კინოფილმი

მოსკოვი. („კომუნისტის" კორ.). სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს შეკვეთით თბილისის ლენინის ორდენოსანმა კინოსტუდიამ „ქართულმა ფილმმა" გამოუშვა სამეცნიერო-პოპულარული ხმოვანი კინოფილმი „სიმინდის მაღალი მოსავლის მოყვანის გამოცდილება". ფილმი ხუთი ნაწილისაგან შედგება. ფილმის სცენარი ეკუთვნის ი. ქაჩიბაიას, დადგმა — რეჟისორ ი. კანდელაკს. ოპერატორია ო. დეკანოსიძე, კომპოზიტორი — რ. ლაღიძე.

ფილმის დამდგმელმა ი. კანდელაკმა საუბარში განაცხადა, რომ პირველად განზრახული იყო ეს ფილმი ეჩვენებინათ მხოლოდ საქართველოში. მაგრამ მას შემდეგ, რაც აღიარებულ იქნა, რომ ახალი კინოფილმი თავისი ორიგინალობითა და ფორმით მკვეთრად განსხვავდება ამის მსგავსი სხვა ფილმებისაგან, გადაწყდა იგი დემონსტრირებულ იქნას სხვა მომმე საბჭოთა რესპუბლიკებშიც.

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს კინოფიკაციისა და კინოგაქირავების მთავარმა სამმართველომ ფილმი „სიმინდის მაღალი მოსავლის მოყვანის გამოცდილება" მიიღო საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის სს რესპუბლიკების მთელ სასოფლო კინოქსელში ჩვენებისათვის.

## საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადება მოსკოვის ოლქში

მოსკოვის ოლქში ჯერ კიდევ იანვრის ყინვები იდგა, როცა კოლმეურნეობებმა, მტს-ებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გააჩაღეს მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადება. უკვე მარტის შუა რიცხვებისათვის შეკეთებული ტრაქტორები, გუთნები, სათესები, კარტოფილსარგავი მანქანები, კულტივატორები მზად იყო მინდვრად გასასვლელად.

ეხმარება რა მოსკოვის ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელებს, დედაქალაქის ბევრი მოწინავე საწარმო რეგულარულად ამარაგებს სოფლის მექანიზატორებს სხვადასხვა მანქანებით და სათადარიგო ნაწილებით. დაწესებულ ვადებში ასრულებენ სოფლის მეურნეობის წინაშე თავიანთ სახელშეკრულებო ვალდებულებებს მოსკოვის საკისრის პირველი ქარხანა, სატრანსფორმატორო ქარხანა, ქარხანა „მეტალისტი" და სხვ. („კომუნისტის" კორ.).

რეპორტაჟი

# სიახლენი აგურის წარმოებაში



— 1952 წელს მოხდა ქარხნის რეკონსტრუქცია, რის შემდეგ მისი საპროექტო სიმძლავრე აყვანილ იქნა წელიწადში 30 მილიონ ცალ აგურამდე. საწარმოს კოლექტივი ყოველწლიურად ზრდიდა პროდუქციის გამოშვებას და 1955 წელს 41 მილიონ ცალამდე აიყვანა იგი. 1954 წლის მე-4 კვარტალიდან საწარმო ინარჩუნებს სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალ წითელ დროშას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა პასუხად ქარხნის კოლექტივმა წარმატებით შეასრულა პირველი კვარტალის პროგრამა და რესპუბლიკას გეგმის გადამეტებით მისცა მილიონ-ნახევარი ცალი აგური.

ქარხანაში ყველა ძირითადი სამუშაო მექანიზებულია. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მარტო ტრანსპორტიორების სიგრძე ქარხანაში 4,5 კილომეტრს შეადგენს.

გაიზარდნენ ახალი ადამიანებიც, რომლებითაც ამაყობს ჩვენი საწარმო. ესენი არიან გადმომტვირთავები მ. როსტიაშვილი და ვ. ბეზრუკოვი, მწნეხავები გ. უდანოვი და შ. ძამაშვილი, ცეცხლფარეში ა. მხეიძე, მეექსკავატორე ბ. სოზიაშვილი და სხვ.

უკანასკნელ ხანს ქარხანაში დაინერგა მთელი რიგი სიახლენი, რომლებიც ჩვენს რაციონალიზატორებს ეკუთვნით. დავნერგეთ მცირე მექანიზაცია — აგურის დატვირთვა-გადმოტვირთვა ლენტური ტრანსპორტიორებით, რამაც დიდი საწარმოო ეფექტი მოგვცა. ახლა ეს გამოცდილება ჩვენი ქვეყნის აგურის სხვა ქარხნებშიც ინერგება.

ქარხნის სატვირთავ მოედანზე გავედით. — შეხედეთ, — ამბობს დირექტორი, — როგორ აიტაცა ამწემ ერთბაშად 200 ცალი აგური და პირდაპირ ალაგებს მანქანაში. ამ ამწეს აქვს სპეციალური მოწყობილობა, რომლის ბერკეტები მექანიკურად იღებენ დალაგებულ აგურს და გადააქვთ პირდაპირ მანქანაში. ეს მექანიზმი გამოიგონა ცვლის ოსტატმა ბ. ალავიძემ. ახლა სამტონიანი ავტომანქანის დატვირთვას შვიდი წუთი უნდება, მაშინ როცა წინათ ნახევარი საათი სჭირდებოდა. იკლო აგურის დამტვრევამაც. ბ. ალავიძის ამ რაციონალიზატორული წინადადების განხორციელება წელს ქარხანას 100 ათას მანეთზე მეტს დაუზოგავს.



პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ქარხანაში შენდება ახალი საამქრო. წიდაში კირის შერევით იღებენ ღუმელის ცემენტს — იაფ საშენ მასალას, რომელსაც ხმარობენ კედლების ამოსაყვანად, აგრეთვე სასოფლო მშენებლობაში. ახლა მიმდინარეობს მოწყობილობის მონტაჟი — იდგმება ვიბრაციული წისქვილები მასის დასაფშვნელად.

გარდა აგურისა ქარხანა უშვებს ფაიფურის მხატვრულ ჭურჭელს და ნაკეთობებს, რომლებიც პირველად ჩამოისხმება თაბაშირის ფორმებში,



ქარხნის კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს ახალ ხუთწლედში არსებული წნეხები შეცვალოს ინჟინერ ა. მელიას კონსტრუქციის წნეხებით, რაც საბურთალოელ მეაგურეებს საშუალებას მისცემს 1960 წელს აგურის გამოშვება 50 მილიონ ცალამდე გაადიდონ.

• • •

სურათებზე: ზევით — აგურის დატვირთვა ბ. ალავიძის მეთოდით; წრეში — ზეინკალი გ. პავლიაშვილი და მთავარი მექანიკოსი გ. გაბუნია ამონტაჟებენ ვიბრაციულ წისქვილს; მარჯვნივ — მხატვარი ლ. ყიფიანი და საამქროს უფროსი გ. ლომიძე ამოწმებენ მხატვრულ ნაკეთობათა მზა ნიმუშებს.

ტექსტი და ფოტო ვ. გინზბურგისა.

### პარტიული ცხოვრება

# პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა ღრმად შესწავლისათვის

უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა ჭიათურის მაღაროელთა შორის. მათ ნათლად აქვთ შეგნებული ის დიდი ამოცანები, რომლებიც დასახულია მეექვსე ხუთწლიანი გეგმით მარგანეცის წარმოების გადიდების საქმეში.

პარტიის XX ყრილობის მასალების გამოქვეყნებისთანავე ჭიათურის მშრომელები გულმოდგინედ შეუდგნენ მათს შესწავლას. ამჟამად ქალაქში 800-ზე მეტი აგიტატორი და წამკითხველ-მესაუბრე სისტემატურად განუმარტავს მშრომელებს XX ყრილობის გადაწყვეტილებებს. ყრილობის მასალების შესწავლას მიეძღვნა საქართველოს კპ ჭიათურის საქალაქო კომიტეტთან არსებული აგიტკოლექტივის ხელმძღვანელთა სემინარის ორი მეცადინეობა. პირველადს პარტიულ ორგანიზაციებთან არსებული აგიტკოლექტივების მეცადინეობაზე განხილულ იქნა ყრილობის მასალების შესწავლის მეთოდური საკითხები. პარტიულ ბიბლიოთეკაში, ქალაქის ბიბლიოთეკაში, მაღაროების კლუბებსა და სამკითხველოებში მოწყობილია პარტიის XX ყრილობის მასალების გამოფენები.

პარტიის საქალაქო კომიტეტმა მოაწყო აგიტატორების, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელების, პროპაგანდისტებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების საქალაქო თათბირი, სადაც მოხსენებით XX ყრილობის მასალების შესწავლასთან დაკავშირებით პროპაგანდისტთა და აგიტატორთა ამოცანების შესახებ გამოვიდა პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი შ. ხიდაშელი. მარტში პარტიის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებამ და გაზეთ „ჭიათურის მაღაროელის" რედაქციამ ქალაქის უდიდეს საწარმოში — ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროში მოაწყო აგიტატორთა შეკრება, რომელიც მიეძღვნა პარტიის XX ყრილობის მასალების შესწავლის მიმდინარეობას.

მარგანეცის წარმოებაში მომუშავე აგიტატორებმა კარგად იციან, რომ აგიტაცია მაშინ არის ქმედითი და ცხოველმყოფელი, როცა იგი დაკავშირებულია ცხოვრებასთან და განმტკიცებულია პრაქტიკული საქმიანობით. ამიტომ ისინი XX ყრილობის მასალების შესწავლას მჭიდროდ უკავშირებენ წარმოების წინაშე მდგომ ამოცანებს, განაზოგადებენ მოწინავეთა გამოცდილებას, ააშკარავებენ ნაკლოვანებებს, პირადი მაგალითით რაზმავენ მშრომელებს პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის. აგიტატორები ტ. კურტანიძე, გ. მაჭარაშვილი, კ. ნადირაძე და სხვები მოწინავე მაღაროელები არიან, საწარმოო დავალებებს 160-180 პროცენტით ასრულებენ. ისინი მშრომელებს დამაჯერებლად განუმარტავენ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, თავიანთ საუბრებს მჭიდროდ უკავშირებენ ცხოვრებას, ადგილობრივ საკითხებს. კარგად მუშაობენ აგრეთვე აგიტატორები — ინჟინერი ო. კობახიძე, ტექნიკოსი ი. წერეთელი, კ. მჭედლიშვილი და სხვები.

პარტიის საქალაქო კომიტეტთან, აგრეთვე ქალაქის მსხვილ საწარმოებთან არსებულ მომხსენებელთა ჯგუფებმა დღემდე 100-მდე მოხსენება წაიკითხეს პარტიის XX ყრილობის შედეგებზე.

XX ყრილობის მასალების შესწავლას შეუდგნენ ქალაქის პარტიული განათლების სისტემის ყველა რგოლში. ამ საქმის მაღალ დონეზე დაყენების მიზნით გაიმართა საქალაქო კომიტეტთან არსებული პროპაგანდისტთა სემინარის ორი მეცადინეობა. წრეებსა და პოლიტსკოლებში გამართულმა მეცადინეობებმა ცხადყვეს ის დიდი ინტერესი, რომელსაც კომუნისტი მაღაროელები იჩენენ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესწავლისადმი. პროპაგანდისტები დ. ცარციძე (ლენინის სახელობის მაღარო), ბ. ცუხიშვილი (სტალინის სახელობის მაღარო), ა. ფერაძე (მექანიკური სახელოსნო) და კ. ვაჩაძე (კაგანოვიჩის სახელობის მაღარო) თეორიულ დებულებებს უნარიანად აკავშირებენ წარმოების პრაქტიკულ საკითხებთან, საუბარში ფართოდ იყენებენ ადგილობრივ ფაქტებსა და მაგალითებს, აგრეთვე სქემებს, დიაგრამებს და სხვა თვალსაჩინოებას. ყოველივე ეს ამაღლებს სწავლების ხარისხს და ხელს უწყობს მშრომელთა შრომითი აქტივობის ზრდას. მსმენელები ზ. ჩხეიძე, ა. გოგოლიძე, ე. ვარდოსანიძე, კ. სხირტლაძე, რომლებიც გულმოდგინედ სწავლობენ ყრილობის მასალებს, საწარმოო დავალებებს 140-160 პროცენტით ანაღდებენ.

პარტიის XX ყრილობის მასალებს დიდი ინტერესით სწავლობენ სოციალისტური წარმოების ეკონომიკის შემსწავლელი სემინარების მონაწილენი. ამჟამად ქალაქში 6 ასეთი სემინარია. ნაყოფიერად მუშაობენ ლენინის სახელობის, დიმიტროვის სახელობის, ცივწყაროსა და კორხნალის მაღაროებთან არსებული კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი სემინარები. სემინარების მეცადინეობაზე გამართული ამხანაგური დისკუსიის დროს მსმენელები მსჯელობენ წარმოების ეკონომიკისა და ტექნიკის საკითხებზე. ის მაღაროები, უბნები და ცვლები, რომლებსაც სემინარში გაერთიანებული ამხანაგები ხელმძღვანელობენ, თითქმის უკლებლივ სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებენ მარგანეცის გამოღებისა და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმებს. სემინარის მონაწილენი რეგულარულად ამზადებენ რეფერატებს. ინჟინერმა ი. ბაირამაშვილმა მოამზადა რეფერატი თემაზე: „სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკა მშვიდობის პოლიტიკაა", რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია მეცადინეობაზე. ინჟინერი ე. გაფრინდაშვილი ამზადებს რეფერატს თემაზე: „ხელმძღვანელობის კოლექტიურობის ლენინური პრინციპი პარტიული ხელმძღვანელობის უმაღლესი პრინციპია".

პარტიის XX ყრილობის მასალების ღრმად შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ლექციური პროპაგანდის გაძლიერებას. მოეწყო საქალაქო კომიტეტისა და საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების საქალაქო გამგეობის ლექტორთა ჯგუფების წევრთა გაერთიანებული თათბირი, რომელმაც დასახა ღონისძიებანი პარტიის XX ყრილობის მასალების შესწავლასთან დაკავშირებით ლექციური პროპაგანდის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად. ყრილობის მასალებთან დაკავშირებულ საკითხებზე დღემდე ქალაქში წაკითხულია 75 ლექცია და მოხსენება, მათ შორის ისეთ თემებზე, როგორიც არის „სკკპ XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი საბჭოთა ხალხის საბრძოლო პროგრამაა", „ეკონომიური აღმავლობა სსრ კავშირში და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში", „ძირეული ცვლილებანი ომისშემდგომი პერიოდის საერთაშორისო ვითარებაში", „სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანა", „სოციალიზმის გადაქცევა მსოფლიო სისტემად" და სხვ. სისტემატურად იკითხება აგრეთვე ლექციები მოსახლეობისათვის საქალაქო კომიტეტთან არსებულ ლექტორიუმში.

წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებისათვის იმართება ლექციები, კონსულტაციები და გასაუბრებანი. დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგების ნაწილმა სურვილი გამოთქვა XX ყრილობის მასალები შეისწავლოს წრეებსა და სემინარებში. ამ ამხანაგებისათვის შეიქმნა 3 სემინარი და 7 წრე.

მიუხედავად გაწეული მუშაობისა, პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდისა და ახსნა-განმარტების საქმეში ნაკლიც არის. ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად წარმოებს ყრილობის მასალების ახსნა-განმარტება მოსახლეობაში. მთელი რიგი პირველადი პარტიული ორგანიზაციები XX ყრილობის მასალების პროპაგანდას მჭიდროდ ვერ აკავშირებენ ცხოვრებასთან. ნაკლოვანებებია თვალსაჩინო აგიტაციის ჯეროვან სიმაღლეზე დაყენების საქმეშიც. უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე არ მიგვიღია ყრილობის მასალებისადმი მიძღვნილი არცერთი პლაკატი, ლოზუნგი, დიაგრამა და სხვ. ქართულ ენაზე არასაკმაო რაოდენობით გვაქვს მიღებული ბროშურები XX ყრილობის მასალებზე.

ჭიათურის საქალაქო პარტიული ორგანიზაცია, რომელსაც ღრმად აქვს შეგნებული სკკპ XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების სიდიადე, მთელ საგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას წარმართავს ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა ღრმად და საფუძვლიანად შესწავლისათვის, დარაზმავს მშრომელებს მეექვსე ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის საბრძოლველად.

**ვ. შუკაკიძე,**
საქართველოს კპ ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე.



თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატში ფართოდ გაჩაღდა საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება. ფეიქრები ერთმანეთს ეხმარებიან ახალი წარმატებების მოპოვებისათვის ბრძოლაში, ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას.

**სურათზე:** მოსამზადებელი საამქროს მოწინავე ქვეოსტატი ე. ჯავახიშვილი (მარჯვნივ) ასწავლის ძაფის გადაბმის ახალ ხერხს ე. ალავიძეს. ფოტო შ. გოქაძისა.

★

## სიმინდის თესლი უკრაინელ მეგობრებს

მახარაძე. (საკ. კორ.). ყოველდღიურად მტკიცდება მახარაძელ და გენიჩესკელ კოლმეურნეთა ტრადიციული მეგობრობა. ამ დღეებში სოფელ ძიმითის „ახალგაზრდა კომუნისტის" სახელობის, ნატანების ლენინის სახელობის, ნაგომრის მოლოტოვის სახელობის, შრომის ორჯონიკიძის სახელობისა და სხვა კოლმეურნეობებმა თავიანთ უკრაინელ მეგობრებს — გენიჩესკის რაიონის კოლმეურნეობებს საჩუქრად გაუგზავნეს 2.200 კილოგრამამდე სიმინდის კონდიციური თესლი.

— გვაინტერესებს, როგორ იხარებს მოძმე უკრაინის მიწაზე ჩვენებური, აჯამეთის თეთრი ჯიშის სიმინდი, — განაცხადა ნაგომრის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შ. სარიშვილმა. — თუ მან კარგი მოსავალი მისცა მოძმე კოლმეურნეებს, მაშინ მომავალ წელს მათ ათჯერ მეტ სიმინდის თესლს გავუგზავნით.

## მექანიზატორთა კადრები

გურჯაანი. (საკ. კორ.). ველისციხის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებელმა წელს 208 ტრაქტორისტი გამოუშვა. ე. შეყლაშვილმა, შ. ომიაძემ, რ. ლიპარტაშვილმა, ლ. დარბინიანმა და სხვებმა — სულ ორმოცმა ახალგაზრდამ საუკეთესოდ შეისწავლა ტრაქტორის მართვა. ისინი ახლა სხვადასხვა რაიონების მტს-ებში მუშაობენ. 15 აპრილამდე მექანიზაციის სასწავლებელი კიდევ 90 ტრაქტორისტს გამოუშვებს.

წელს სასწავლებელში გაიხსნა მეცხოველეობის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის ჯგუფი, სადაც სწავლობს 29 ახალგაზრდა.

# დახარჯული მილიონები, დაუმთავრებელი შენობები

ახალციხის შახტსამმართველოს პირველ სამშენებლო სამმართველოს დავალებული აქვს მეშახტეებისათვის დაბა ვალეში ააგოს ათასობით კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელი სახლები, აბანო-სამრეცხაოების, საკლუბო და სასკოლო დაწესებულებათა შენობები. სახელმწიფო ამისათვის ყოველწლიურად მილიონობით მანეთს ითვალისწინებს.

მარტო შარშან სამშენებლო სამმართველოს 9 მილიონი მანეთის სამუშაო ჰქონდა მინდობილი. ეს დავალება მხოლოდ 76,2 პროცენტით შესრულდა. გათვალისწინებული 3.300 კვადრატული მეტრის ნაცვლად საექსპლოატაციოდ გადაეცა 2.160 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ჩამორჩენა წელსაც გრძელდება. თებერვალში სამშენებლო სამუშაოთა დავალება შესრულებულია 80 პროცენტით. უკეთესი მდგომარეობა არც მარტში იყო.

მშენებლობის დაბალი ტემპი უწინარეს ყოვლისა სუსტი ხელმძღვანელობის შედეგია. სამშენებლო ორგანიზაციები რიტმულად არ მუშაობენ, არ იღებენ ზომებს შრომის ნაყოფიერების ასამაღლებლად, ცუდად არის მოწყობილი შრომა, შახტებისა და სამშენებლო სამმართველოების ხელმძღვანელები არ ზრუნავენ მკვიდრი და ეკონომიური სახლებისა და საზოგადოებრივი შენობების აგებისათვის, სამშენებლო საქმის გაუმჯობესებისათვის.

პირველი სამშენებლო სამმართველო მშენებლებს დროულად არ ამარაგებს საშენი მასალებით, რაც იწვევს მოცდენას.

აი რას ამბობს შემლესავთა ბრიგადის ხელმძღვანელი მ. არონიანი, რომლის ბრიგადა სხვებთან შედარებით უკეთესად მუშაობს.

— ვმუშაობ მეთოთხმეტე კვარტალის მეხუთე სახლის მშენებლობაზე. ჩვენმა ბრიგადამ იანვრის გეგმა 153,1 პროცენტით გაანაღდა — სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებას გადააჭარბა, მაგრამ თებერვლის დავალება მხოლოდ 82 პროცენტით შევასრულეთ. მარტშიც ჩამოვრჩით. რამ გამოიწვია ეს? იმან, რომ გვაკლია მასალები. მაგალითად, 15-21-22 მარტს არ მოგვაწოდეს სილა და ცემენტი და ბრიგადამ მხოლოდ ნახევარ დღეს იმუშავა.

ასეთ პირობებში უხდება მუშაობა მშენებელთა 36 ბრიგადას. მუშების დიდი ნაწილი დაუტვირთავია სამუშაოთი. როგორც სამშენებლო სამმართველოს უფროსმა ვ. სანაძემ განაცხადა, მუშათა ყოველთვიური გაცდენა 35-მდე პროცენტს აღწევს.

ახალციხელი მშენებლები ყოველწლიურად ებმებიან სოციალისტურ შეჯიბრებაში, კისრულობენ გადიდებულ ვალდებულებებს, მაგრამ ამ ვალდებულებათა შესრულებისათვის არ ზრუნავენ. შარშან აპრილში მშენებელთა კრებაზე, რომელსაც ორასზე მეტი კაცი ესწრებოდა, გადაწყდა 1955 წლის საწარმოო გეგმა ვადაზე 10 დღით ადრე შეესრულებინათ, მშენებლობის ღირებულების შემცირებით სახელმწიფოსათვის მიეცათ 178.000 მანეთი მოგება. სამწუხაროდ, არა მარტო ეს ვალდებულება, არამედ საგეგმო დავალებაც გაუნაღდებელი დარჩა. პირიქით, ღირებულება გაადიდეს და გეგმის შესრულებას დაახლოებით 25 პროცენტი დააკლეს.

ადგილი აქვს სოციალისტური შეჯიბრებისადმი ფორმალური დამოკიდებულების სხვა ფაქტებსაც. ზერელედ, „უყურადღებოდ" ეკიდებიან ვალდებულებათა აღებას და მათში ზოგჯერ ისეთ მუხლებს ითვალისწინებენ, რომლებიც არავის არაფერს არ ავალდებულებს. მაგალითად, პროფკავშირის საშახტო კომიტეტის საქმეებში ინახება დურგალთა ბრიგადის ხელმძღვანელის გ. ბერიძის ასეთი არაფრისმთქმელი „ვალდებულებები": „1. ვაწარმოო მუშის ზუსტი აღრიცხვა, 2. შევასრულო ზემდგომი ორგანოების და უფროსის დავალება".

ვთქვათ, ბრიგადირმა არ იცოდა, რა საკითხები უნდა გაეთვალისწინებინა ვალდებულებებში. სად იყო საშახტო კომიტეტი? რატომ არ დაეხმარნენ, არ ასწავლეს ამხანაგ ბერიძეს.

შახტსამმართველოს სამშენებლო განყოფილება (უფროსი ს. გუსაროვი), ხშირად უხარისხოდ აგებულ დაუმთავრებელ, დეფექტებიან შენობებს იღებს და საექსპლოატაციოდ გადასცემს, რაც მეშახტეთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

სახლში, სადაც პირველი შახტის მეშახტეები შ. ვოსკანიანი, ნ. ბაღდასარიანი, ა. პოზდნიკოვი შესახლეს, წყალი ჩამოდის, კედლები ზიანდება, კარ-ფანჯრების ჩარჩოებს დაკარგული აქვთ პირვანდელი სახე, რადგან ნედლი მასალისაგან დაუმზადებიათ, მოშლილია ცენტრალური გათბობის მოწყობილობა. შენობაში გათვალისწინებული არ არის ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები და ა. შ.

ჯერ კიდევ 1951 წელს საექსპლოატაციოდ გადასცეს სამთო-სამრეწველო სკოლის შენობა, რომლის მშენებლობა 3.051.000 მანეთი დაჯდა, ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული მთელი რიგი სამუშაოები კი დღემდე შეუსრულებელია. კეთილმოუწყობელია ეზო, დახურული არ არის საკანალიზაციო არხი, მოუასფალტებელია შენობის წინა მოედანი. განზრახული იყო აგრეთვე სკოლასთან აბანოსა და სამრეცხაოს აგება, მექანიკური და სადურგლო სახელოსნოების მოწყობა, მაგრამ ამაზე აღარავინ ფიქრობს და ამიტომ შრომითი რეზერვების რესპუბლიკური სამმართველო არ იღებს შენობას.

ეს სკოლა ყოველწლიურად ასობით ახალგაზრდა კვალიფიციურ მუშას — გამყვანს, მეზიგს, ელექტროზეინკალს, მლესავს და ქვის მთლელს ამზადებს. ეს კადრები სულ უფრო მზარდი რაოდენობით სჭირდებათ ახალციხის ქვანახშირის საექსპლოატაციო და სამშენებლო ობიექტებზე. სამთო-სამრეწველო სკოლის დაუმთავრებელი სამუშაოებისადმი შეუწყნარებელ უდარდელობასა და უპასუხისმგებლობას იჩენს შახტსამმართველოს მთავარი ინჟინერი ნ. კვინიხიძე.

1953 წლის დეკემბერში საექსპლოატაციოდ გადაეცა საშუალო სკოლის დაუმთავრებელი შენობა, რომელიც ააგო პირველმა სამმართველომ. სკოლის კეთილმოწყობისათვის გათვალისწინებული 120.000 მანეთი ჯერაც აუთვისებელია.

მშენებლობის საქმეში არსებული ყველა ეს და სხვა სერიოზული ნაკლოვანებანი კარგად იცის ახალციხის შახტსამმართველოს (უფროსი ა. დოლიძე) ხელმძღვანელობამ, მაგრამ ქმედით დახმარებასა და კონტროლს არ უწევს დაქვემდებარებულ ობიექტებს.

ახალციხელ მშენებელთა მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებანია. ასეთი მდგომარეობის გაგრძელება შეუწყნარებელია.

**ე. ხარებავა,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

მოწინავეთა გამოცდილება—მასებს

# რას გვასწავლის ბომბორელ მევენახეთა მუშაობა

მევენახეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი დარგია. იგი კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა. ამიტომ არის, რომ ისინი პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური დახმარებით განუხრელად ზრდიან ვენახების ფართობს, ადიდებენ ყურძნის მოსავლიანობას.

სამტრესტის სისტემის საბჭოთა მეურნეობებს შორის უკანასკნელი წლების მანძილზე მოსავლიანობის გადიდებაში სერიოზული წარმატება მოიპოვა გუდაუთის რაიონის ბომბორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი დ. ჩერქეზია, უფროსი აგრონომი გ. შეყრილაძე). საგულისხმოა მოვიყვანოთ ყურძნის მოსავლიანობის ზრდის დინამიკა ცალკეული წლების მიხედვით. მაგალითად, მეურნეობის ურწყავ ვენახებში საშუალოდ ჰექტარზე 1952 წელს მიიღეს 138 ცენტნერი, 1953 წელს — 154,5 ცენტნერი, 1954 წელს — 208 ცენტნერი, ხოლო 1955 წელს — 245,5 ცენტნერი ყურძენი, მაშინ როცა გეგმა 175 ცენტნერს ითვალისწინებდა.

უკეთესი შედეგი აქვთ ცალკეულ მევენახეებს. მერგოლურმა ტ. სტოლბოვამ მოსავლელად მიჩენილი 7,48 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 1955 წელს 257,5 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა. შრომითი მამაცობის მაგალითი გვიჩვენეს ბრიგადირმა ხ. დენიკინამ, მერგოლურმა ა. პროცენკომ და სხვებმა.

რით აღწევენ მოწინავეები სხვებთან თანაბარ პირობებში უფრო მაღალი მოსავლის მოყვანას?

ისინი კარგად არიან დაუფლებული ვენახების მოვლა-დამუშავების აგროტექნიკას. შემოქმედებითად უდგებიან და ადგილობრივი პირობების შესაბამისად იყენებენ ცალკეულ ღონისძიებებს.

ბომბორელმა მევენახეებმა კარგად იციან, რომ ყურძნის უხვი მოსავლის მოსაყვანად აუცილებელია ვენახში სიმეჩხრის მოსპობა. ამიტომ მათ მინიმუმამდე დაიყვანეს სიმეჩხრე ვენახის მთელ ფართობზე ვაზის გადაწვენითა და გამორგვით. 1951 წლის გაზაფხულზე აქ ვენახი მთლიანად შპალერზე (მავთულზე) გადაიყვანეს. ვაზს მისცეს ორმხრივი ქართული ფორმა და თვითეული მცენარე დატვირთეს 18-20 კვირტამდე. შპალერზე გადაყვანის პირველ წელს საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანეს 80 ცენტნერი ყურძენი.

პირველი შედეგებით აღფრთოვანებულმა ბომბორელმა მევენახეებმა შემდგომ, 1952 წელს, თვითეული ვაზის დატვირთვა გაზარდეს 30 კვირტამდე (ჰექტარზე 115.000 კვირტი), რის შედეგადაც ყურძნის მოსავლიანობამ საშუალოდ ჰექტარზე 138 ცენტნერს მიაღწია.

საგულისხმოა, რომ ძველი შეხედულების წინააღმდეგ ვაზის დატვირთვის გადიდების პარალელურად იზრდებოდა მისი სავეგეტაციო ძალა, რის გამო კვლავ გაადიდეს დატვირთვა და 1954 წელს თვითეულ მცენარეს დაუტოვეს 40 კვირტი. ყურძნის მოსავალი კიდევ უფრო გადიდდა, პროდუქციის ხარისხი ამაღლდა.

ვაზის ძლიერ დატვირთვას საფუძვლად დაუდეს თავისუფალი წესით სხვლა, აგრეთვე მეორე და მესამე შტამბის გამოყვანა. ვაზის შეყელვისას სანაყოფეებს პირველ და მეორე მავთულზე აკრავდნენ. მცენარის ძლიერი დატვირთვის განხორციელება დამყარებული იყო აგრონომიულ ღონისძიებათა კომპლექსის ზუსტად დაცვაზე. შემოდგომა-ზამთარში ვენახის მთელ ფართობზე ახდენენ მწკრივების გამობარვას 25 სანტიმეტრ სიღრმეზე, რასაც მოსდევს მწკრივთაშორისების ხვნა.

შემოდგომაზე მწკრივების გამობარვისა და მწკრივთაშორისების ხვნის წინ ვენახში შეაქვთ ადგილობრივი სასუქი ჰექტარზე 50 ტონის, ხოლო კალიუმისა და ფოსფოროვანი სასუქების ნარევი 150 კილოგრამის რაოდენობით; ამავე პერიოდში შტამბს გულდასმით ასუფთავებენ და ნავთ-კირის ემულსიით ბანენ, რომ შტამბზე საზამთროდ სხვადასხვა მავნებლებმა არ დაიბუდონ.

ბომბორელი მევენახეები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ვენახის გაზაფხულ-ზაფხულის სამუშაოთა დროზე, წესიერად ჩატარებას. უპირველეს ყოვლისა ახორციელებენ მწკრივთაშორისების ხვნას 15 სანტიმეტრ სიღრმეზე, რასაც თანმიმდევრულად მოსდევს მწკრივების ორჯერ გათოხნა და მწკრივთაშორისების კულტივაცია 5-ჯერ ათი სანტიმეტრის სიღრმეზე, ისე, რომ ვენახის მთელ ფართობზე ნიადაგი ფხვიერ შავხნულ მდგომარეობაში იყოს.

ვაზის ყვავილობის დაწყებამდე — პირველი კულტივაციის წინ, ვენახის მთელ ფართობზე შეაქვთ აზოტოვანი სასუქი ჰექტარზე 150 კილოგრამის რაოდენობით (სუფთა ნივთიერებაზე გადაანგარიშებით).

ვაზის შეყელვის შემდეგ კვირტების განვითარებისთანავე აწარმოებენ ზედმეტი ყლორტების პირველ შეცლას (გაფურჩვნა). ამ მიზნით მცენარის შტამბსა და სხვა მრავალწლიან ნაწილზე განვითარებულ ყველა ყლორტს ძირში აცლიან, ხოლო თუ სიმეჩხრის მოსპობის მიზნით საჭიროა გაცდენილი ადგილის შევსება, მაშინ ტოვებენ სათანადო მდებარეობის კარგად განვითარებულ ყლორტებს.

სანაყოფეს ზედმეტ ყლორტებს მაშინ აცლიან, როცა ისინი საკმაოდ განვითარდებიან და უნაყოფო და ნაყოფიანი ყლორტები ადვილი გასარჩევი გახდება. ყვავილობის დაწყების წინ აწარმოებენ ვაზის მეორე გაფურჩვნას.

ზედმეტი ყლორტების შეცლის ოპერაციას ასრულებენ ვაზის გასხვლა-ფორმირებაში კარგად დახელოვნებული მუშაკები. მათ ღრმად აქვთ შეგნებული, რომ ზედმეტი ყლორტების შეცლა სხვლის გამაგრძელებელი და ამავე დროს დამასრულებელი ოპერაციაა, რომელმაც უნდა გამოასწოროს ყველა ის შეცდომა, რაც სხვლის დროს იყო დაშვებული.

არანაკლებ ყურადღებას აქცევენ ნამხრეების შეცლას და მწვანე ყლორტების აკვრას (ახვევას). ნამხრეების შეცლას აწარმოებენ ორჯერ: პირველად — ვაზის ყვავილობის დაწყებამდე და მეორედ — ყვავილობის შემდეგ, რითაც მნიშვნელოვნად ამცირებენ ნამხრეების მიერ საკვები ნივთიერების ხარჯვას და აუმჯობესებენ მტევნების კვების რეჟიმს. ყურძნის უხვი მოსავლის მოყვანისა და მაღალხარისხოვანი პროდუქციის მიღების მიზნით განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ყლორტების წვერის წაწყვეტას, რასაც ახორციელებენ ვაზის ყვავილობის დასაწყისში და 2-3 დღეში ამთავრებენ. ყლორტების წვეროების წაწყვეტა საგრძნობლად ადიდებს ყურძნის მოსავლიანობას, რადგან საკვები ნივთიერების მთელ იმ მარაგს, რაც ყლორტის სიგრძეში ზრდას უნდა მოხმარებოდა, მთლიანად იყენებენ დარჩენილი ყლორტები და ყვავილედები.

მეურნეობაში დიდი მზრუნველობით იცავენ ვაზს დაავადებებისა და მავნებლებისაგან. ვაზის სავეგეტაციო პერიოდში ხუთჯერ აწარმოებენ ერთპროცენტიანი ბორდოს ხსნარით შესხურებას ჭრაქის წინააღმდეგ, სამჯერ გოგირდის შეფრქვევას ნაცრის წინააღმდეგ და სამჯერ ნიკოტინ-სულფატით წამლობას ვაზის ცრუფარიანას წინააღმდეგ. სწორედ ეს არის იმის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რომ ყურძენი აქ ყოველთვის მაღალხარისხოვანი და უხვმოსავლიანია.

გაეცნენ რა მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ბომბორელმა მევენახეებმა ვალდებულება იკისრეს მიმდინარე წელს კიდევ უფრო აამაღლონ ყურძნის მოსავლიანობა. ახლა აქ ფართოდ გაჩაღებულია ვენახის საგაზაფხულო სამუშაოები.

მოწინავე მევენახეთა მუშაობის მაგალითს ჩვენი რესპუბლიკის ყველა მევენახემ უნდა მიბაძოს.

**ა. ხელაშვილი,**
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

## ტყის ახალი მასივებისათვის

ხაშური. (საკ. კორ.). ხაშურის რაიონული სატყეო მეურნეობის კოლექტივმა მიმდინარე წლის 28 მარტისათვის ხე-ტყის დამზადების, გამოზიდვისა და გადამუშავების პირველი კვარტალის დავალება შეასრულა 122 პროცენტით, ხოლო ტყის მცენარეთა თესლის დამზადებისა — 230 პროცენტით.

სატყეო კულტურების თესვის გეგმის შესასრულებლად მეურნეობას დამზადებული აქვს 578 კილოგრამი თესლი, აქედან 216 კილოგრამი შავი ფიჭვის თესლი.

წელს ტყეების ახალი მასივების გაშენებისათვის სატყეო მეურნეობას დიდი სამუშაოები აქვს შესასრულებელი. უნდა გააშენონ 35 ჰექტარი ფიჭვი, 15 ჰექტარი კაკალი და 10 ჰექტარი თუთა. ამ მიზნით მეურნეობას მომზადებული აქვს მზრალად მოხნული ნიადაგი. სანერგეში გამოყვანილია 260 ათასი ფიჭვის, 650 ათასი თუთის და 22 ათასი კაკლის ნერგი.



ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხანამ დაიწყო „ს-100" მარკის ახალი ტრაქტორების საცდელი პარტიის გამოშვება. ამ ტრაქტორს აქვს მუხლა ლილვის საკისრების, დგუშების დაზეთვის უფრო სრულყოფილი სისტემა, გაზის განაწილებისა და სათბობის მიწოდების გაუმჯობესებული პროცესი, ჰაერწმენდის კარგი მოწყობილობა და ზოგიერთი სხვა გაუმჯობესება. ახალიანი მანქანის დამზადებაზე იმდენივე ლითონი იხარჯება, რამდენიც „ს-80" მარკის ტრაქტორის გამოშვებაზე.

**სურათზე:** საკონტროლო-ჩამბარებელი საამქროს ოსტატი ი. პ. მოლოზემოვი და ტრაქტორისტი მ. ე. ნიკიტინი ამოწმებენ „ს-100" მარკის ახალ ახალიან ტრაქტორს.

ფოტო პ. შჩუჩკინისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შრომითი აღმავლობა საკოლმეურნეო სოფლებში

## რედაქციაში შემოსული წერილების მიმოხილვა

ჩვენი ქვეყნის მშრომელები დიდი აღმავლობით იბრძვიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე გაჩაღებულია შემოქმედებითი შრომა მეექვსე ხუთწლედის გრანდიოზულ დავალებათა წარმატებით შესასრულებლად.

ჩვენი გაზეთის რედაქცია საქართველოს ყველა კუთხიდან ყოველდღიურად იღებს მრავალ ათეულ წერილს. მათი ავტორები იწერებიან იმ პოლიტიკური და საწარმოო აქტივობის შესახებ, რომელიც სოფლად გამოიწვია პარტიის XX ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა.

— სეფიეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეებმა, რომლებიც აღფრთოვანებული არიან სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებებით,— გვწერს აბაშიდან ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ამხ. **ი. თოფურია**, — წარმატებით დაამთავრეს ჩაის საზამთრო სამუშაოები, ჩქარი ტემპით მიმდინარეობს საგაზაფხულო ხვნა, ათვისებულია 25 ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწა.

— ძვირფასი სამარცვლე და საკვები კულტურის — სიმინდის მოსავლიანობის გადიდებისათვის ყველა წინაპირობა შექმნეს ზათუმის რაიონის სოფელ ხელვაჩაურის პერვუხინის სახელობის კოლმეურნეობაში. მიმდინარეობს საყანე ფართობების ხვნა, მოიმარაგეს და კონდიციამდე მიიყვანეს სათესლე მასალა, ნიადაგში შეაქვთ მინერალური და ორგანული სასუქები. გაეცნენ რა პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, ხელვაჩაურელმა კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს წელს მთელი ნათესი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ 18 ცენტნერი სიმინდი, რაც 6,2 ცენტნერით მეტია შარშან ფაქტიურად მიღებულ მოსავალზე. აქ მნიშვნელოვნად გაზრდიან ჩაის ფოთლის მოსავლიანობასაც,— გვატყობინებს გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველი ამხ. **ს. მორგოშია.**

— დღითიდღე ჩაღდება მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის საგაზაფხულო სამუშაოები წულუკიძის რაიონის კოლმეურნეობებში, — გვწერს ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ამხ. **გ. გეგუჩაძე.** განსაკუთრებით ენერგიული მზადებაა გაჩაღებული ჩაის — კოლმეურნეობათა ეკონომიკის მთავარი წყაროს — კრეფის სეზონისათვის. სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა სოფელ წითელვარსკვლავის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობა, რომელმაც რაიონში პირველმა დაამთავრა 110,8 ჰექტარი ჩაის პლანტაციის დამუშავება, ბუჩქების გასხვლა, წესრიგზე მოიყვანა სადრენაჟო ქსელი. აქაურმა კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს, — დაასკვნის ავტორი, — წელს გეგმის გადამეტებით მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ სულ ცოტა 20 ტონა ჩაის ფოთოლი.

პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შთაგონებული აცანელი კოლმეურნეები, — გვწერს ლანჩხუთიდან ჩვენი გაზეთის მკითხველი ამხ. **გ. ჩხაიძე,** — ძალებს არ ზოგავენ წამყვანი კულტურის — ჩაის მოსავლიანობის გასადიდებლად. წელს სამშობლოს მივცეთ ყოველ ჰექტარზე 5.000 კილოგრამი ნედლეული — ამ მოწოდებით იბრძვიან ახლა აცანელი კოლმეურნეები ჩაის პლანტაციებში.

— საჯიჯაოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა გასულ წელს პირველი წარმატებები მოიპოვეს ჩამორჩენილი დარგის — მეცხოველეობის განვითარებაში. თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიიღეს 762 ლიტრი რძე ანუ საგეგმო დავალებაზე 112 ლიტრით მეტი,— გვწერს ხობის რაიონიდან სოფლკორი **ჰ. ჟიშკარიანი,** — მაგრამ ისინი ამ მიღწევებით როდი კმაყოფილდებიან. პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პასუხად ვალდებულება იკისრეს წელს თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიიღონ 1.100 ლიტრი რძე გეგმით გათვალისწინებული 650 ლიტრის ნაცვლად.

ვანის რაიონის სოფელ მიქელეფონის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრები წელს ყოველ ჰექტარზე მოიყვანენ 25 ცენტნერ სიმინდს, გეგმაზე ორნახევარჯერ მეტ ყურძენს, თვითეულ ძროხაზე მიიღებენ 250 ლიტრით მეტ რძეს. ასე გვწერს ჩვენი გაზეთის მკითხველი ამხ. **მ. გოგოძე.**

საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა სახელოვან საქმეებზე და პატრიოტიზმზე სწერენ რედაქციას თავიანთ წერილებში ჩვენი გაზეთის მკითხველები **თ. გოგიაშვილი** (გურჯაანი), **ა. ხუცურაული, ი. ყველაიძე** (დუშეთი), **დ. ხუსკივაძე** (კასპი).

სათავეში ჩაუდგნენ მშრომელთა საწარმოო და პოლიტიკურ აქტივობას, იბრძოლონ სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობისათვის, მშრომელთა მთელი ძალები წარმართონ ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის — ასეთია ახლა სოფლის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანა.

# მარტყოფის მტს-ში

შარშან მარცვლეულის წარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების საქმეში სერიოზული წვლილი შეიტანა მარტყოფის მტს-მა. წელს მარტყოფელები იბრძვიან ახალი წარმატებებისათვის. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულებმა ახალი ვალდებულებანი იკისრეს და ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობისათვის. მარტყოფელი მექანიზატორები ეჯიბრებიან მცხეთელ მექანიზატორებს.

მარტყოფის ლენინის სახელობის და სტალინის სახელობის, ნორიოს ლენინის სახელობის და ლილოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობები წელს 1.600 ჰექტარ ფართობზე დათესავენ სიმინდს, ხორბალს, მზესუმზირას, კარტოფილს და სხვა კულტურებს. შარშანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზრდება სიმინდის ნათესი ფართობი, რომლის დიდი ნაწილი კვადრატულ-ბუდობრივი წესით დაითესება. 30 პროცენტით გაიზრდება ბოსტნეული კულტურების ნათესი ფართობი.

მარტყოფელ მექანიზატორებს გადაწყვეტილი აქვთ საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 15,3 ცენტნერი თავთავიანი კულტურების მოსავალი და მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 22,9 ცენტნერი სიმინდი.

ახლა მექანიზატორები მინდვრად სამუშაოდ არიან გასული. 800 ჰექტარიდან უკვე მოხნული აქვთ 600-მდე ჰექტარი. მტს-ის ზონაში შემავალ ოთხივე კოლმეურნეობას საჭირო რაოდენობით აქვს კონდიციური თესლი.

ამჟამად მარტყოფის მტს-ის კოლექტივის გადაუდებელი ამოცანაა შემჭიდროებულ ვადებში და მაღალხარისხოვნად შეასრულოს საგაზაფხულო თესვის დავალებანი, მიაღწიოს თვითეულ ჰექტარზე დანახარჯის საგრძნობლად შემცირებას.

**შ. არაბული,**
**ი. დოლბაია.**

# სკოლის ბიბლიოთეკა ამ დღეებში

მოსწავლეთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდა დიდი სახელმწიფოებრივი და სახალხო საქმეა. მოსწავლეებში კომუნისტური მორალის გამომუშავებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კლასგარეშე წიგნების კითხვას. წიგნის ფართო პროპაგანდას სკოლაში ბიბლიოთეკა უნდა ეწეოდეს.

ამ მხრივ მისაბაძ მაგალითს იძლევა ქ. თბილისის რკინიგზის მე-10 საშუალო სკოლის ბიბლიოთეკა. მოსწავლე მკითხველებს უყვართ თავიანთი ბიბლიოთეკა, მისი ხშირი სტუმრები არიან. აქ ისინი კითხულობენ ახალ ჟურნალ-გაზეთებს, წიგნებს.

ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილზეა გამოფენილი პარტიის XX ყრილობის მასალები, მოწყობილია ფოტოსტენდი „ai რა გაკეთდება მეექვსე ხუთწლედში“ და სხვ. მოსწავლე მკითხველები ამზადებენ რეფერატებს თემებზე: „საქართველო მეექვსე ხუთწლედში“, „დარიალის ჰიდროელექტროსადგური“, „მეექვსე ხუთწლედში საყოველთაო საშუალო განათლების და სკოლის პოლიტექნიზაციის განხორციელების ამოცანები“, „კომკავშირი მეექვსე ხუთწლიანი გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლაში“ და სხვ.

სისტემატურად ეწყობა მკითხველთა კონფერენციები და მნიშვნელოვანი თარიღებისადმი მიძღვნილი გამოფენები. ამასწინათ მოეწყო პარიზის კომუნის 85 წლისთავის ამსახველი გამოფენა, მოსწავლეებმა წაიკითხეს რეფერატები.

მკითხველთა კონფერენციის მოსამზადებელი გეგმის მიხედვით არდადეგების დღეებში მოსწავლეებმა ნახეს ა. გაიდარის ნაწარმოებთა საფუძველზე შექმნილი კინოფილმები: „მედოლის ბედი“, „კვამლი ტყეში“, „გუნდი ჩვენი ეზოდან“ და სხვ. მოსწავლე მკითხველები გულდასმით სწავლობენ გაიდარის ნაწარმოებებს. მკითხველთა კონფერენციაზე, რომელიც ამ საინტერესო მწერლის შემოქმედებას მიეძღვნება, წაკითხულ იქნება მოხსენება თემაზე—„საბჭოთა მოსწავლის მორალური სახე ა. გაიდარის შემოქმედებაში“.

ბიბლიოთეკის გამგე ე. ნებიერიძე ხშირად აწყობს გაიდარის ნაწარმოებთა ხმამაღლა კითხვას, მოსწავლე მკითხველებს ესაუბრება მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, ეწყობა მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენა.

მასწავლებელ ე. შენგელიას ხელმძღვანელობით მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში მოსწავლეებმა კოლექტიურად ნახეს გ. ბერძენიშვილის პიესა „კოჭლი მეწისქვილე“. ბიბლიოთეკის ლიტერატურული წრის წევრებმა გადაწყვიტეს მოაწყონ ამ სპექტაკლის გარჩევა. ისინი აგრეთვე ნახავენ ქ. ხაფავას პიესას „ერთ სკოლაში“ და მუსიკალური კომედიის თეატრში ი. დუნაევსკის ოპერეტას „ლალ ქარს“, რის შემდეგ მოეწყობა მათი გარჩევა.

**ვ. გოზალიშვილი.**

# სასოფლო-სამეურნეო კინოფილმების ფესტივალი

ბორჯომი. (საკ. კორ.). რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების კინობაზა აუმჯობესებს რაიონის სოფლების კინომომსახურებას. აქ მიმდინარე წლის თებერვალში დაიწყო და მაისამდე გაგრძელდება სასოფლო-სამეურნეო კინოფილმების ფესტივალი.

სოფლების დაბის, ზანავის, ქვაბისხევის, რველის, ახალდაბის, ყვიბისის, დიდი მიტარბის, პატარა მიტარბის და ჰობისხევის კოლმეურნეობათა მშრომელებმა უკვე ნახეს ახალი ფილმები „ბრუცელოზი“, „ელექტრობა სოფლის მეურნეობაში“, „საშემოდგომო ხორბალი“, „სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივი თესვა“, „მტს-ი ველად“, „ტერენტი მალცევი“ და სხვ.

# ახალი წიგნები

**ნ. ვ. გოგოლი — რჩეული ნაწერები.** ორ ტომად. ტომი I. სახელგამი, თბილისი, 1955 წელი. ტირაჟი 10.000, გვ. 515, ფასი 9 მან.

**ვ. გ. კოროლენკო — ცუდ წრეში.** თარგმნა რ. ქებულაძემ. საბლიტგამი, თბილისი, 1955 წელი. ტირაჟი 10.000, გვ. 263, ფასი 6 მან. 70 კაპ.

**პ. პავლენკო — მოთხრობები.** თარგმანი პ. ბებიასი და ო. სეფიაშვილისა. სახელგამი, თბილისი, 1955 წელი. ტირაჟი 5.000, გვ. 157, ფასი 1 მან. 50 კაპ.

**საადი შირაზელი — ბუსთანი.** თარგმანი სპარსულიდან ა. ჰელიძისა. სახელგამი, თბილისი, 1955 წელი. ტირაჟი 5.000, გვ. 156, ფასი 7 მან.

**ა. ჩეხოვი — ტრამალი.** ერთი მგზავრობის ისტორია. თარგმანი პ. ბახტურიძისა. სახელგამი, თბილისი, 1956 წელი. ტირაჟი 20.000, გვ. 121, ფასი 1 მან. 40 კაპ.

# დრამატურგისა და თეატრის შემოქმედებითი წარმატება

### (მ. მრევლიშვილის „ზვავი“ მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე)

ქართველი მაყურებლები და სცენის ოსტატები დიდად მოწყურებული არიან თანამედროვეობის ამსახველ მაღალმხატვრულ დრამატურგიულ ნაწარმოებებს, მძაფრი კონფლიქტების, მართალი სიტუაციების, დიდი ვნებების დრამას.

ამიტომ იყო, რომ ჩვენი საზოგადოებრიობა ინტერესით შეხვდა მიხ. მრევლიშვილის ახალი დრამის „ზვავის“ დადგმას მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე, და სასიხარულოა, რომ ეს წარმოდგენა ღირსშესანიშნავი შემოქმედებითი წარმატებით დაგვირგვინდა.



ფინალური სცენა თეატრის ახალი დადგმიდან „ზვავი“.
ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მიხ. მრევლიშვილი მკვეთრი ინდივიდუალობის მქონე შემოქმედია. მისი ნაწარმოებები გამოირჩევიან არა მარტო იდეური შინაარსით, აზრის სიღრმით, განცდის სიმდიდრით, არამედ პოეტური ფორმის მშვენებით, მხატვრული პლასტიკით, მკაფიო ეროვნული ელფერით.

დრამატურგის შემოქმედებითმა თავისებურებამ „ზვავშიც“ იჩინა თავი. ამ მხრივ უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია მასალის ის ზომიერი და ოსტატური რომანტიზაცია, რომლის ხელოვნებასაც ასე კარგად ფლობს მიხ. მრევლიშვილი, და რომელიც კი არ ეწინააღმდეგება რეალიზმს, კი არ აბუნდოვნებს ღღევანდელობის სურათს, კი არ გვეწევა ყალბი პათეტიკისა და ცრუ ტონალობისაკენ ან სინამდვილის შელამაზებისაკენ, არამედ უბრალო საყოფაცხოვრებო დეტალსაც კი მომავლის პერსპექტივას უსახავს, ნატურალიზმს სდევნის და იძლევა იმ ამაღლებულ ასახვას, ურომლისოდაც ხელოვნება ცხოვრებიდან აღებული მასალის რეგისტრატორის როლში გამოდის.

„ზვავი“ არ თავსდება ერთი რომელიმე განკერძოებული თემის ფარგლებში. ეს პიესა იდეურ-თემატური მრავალპლანიანობით ხასიათდება. მასში ავტორმა გააშიშვლა წარსულის გადმონაშთები, დაგმო ეგოიზმი, ინდივიდუალიზმი, ანგარება, გვიჩვენა საკოლმეურნეო დოვლათის შემქმნელი საბჭოთა ადამიანები, ახალი მორალით, დიდი მოქალაქეობრივი თვითშეგნებით, ფართო საზოგადოებრივი იდეალებით, შრომისა და სახალხო ქონებისადმი ახლებური დამოკიდებულებით.

პიესის მოქმედ პირთა დიდი უმრავლესობა კარგად დანახული, მკვეთრი მხატვრული საღებავებით შესრულებული ცოცხალი ხასიათებია, რომლებიც ხორციელ ადამიანებად აღიქმებიან და მტკიცედ აღიბეჭდებიან მაყურებლის მეხსიერებაში. რეალისტური, ბუნებრივი, მრავალფეროვანი ტიპაჟი დრამატურგის მხატვრულ ალღოსა და მახვილ თვალზე მეტყველებს. „ზვავი“ მიმზიდველი სცენიურობითაც ხასიათდება. პიესის ფსიქოლოგიური ელემენტი არა ვნებს დინამიურობას, ხოლო მოქმედების შეუნელებელი გრადაცია, მისი ბოლომდე ზეამავალი ხაზით განვითარება კიდევ უფრო ზრდის ნაწარმოების დრამატულ ძლიერებას და ემოციური ზემოქმედების ძალას.

პიესა მძაფრ კონფლიქტზეა აგებული და, როგორც რეალურ ფაქტს, იმ სავალალო მოვლენას ეფუძნება, რომელმაც ამ რამდენიმე წლის წინათ ჩვენშიც იჩინა თავი და რომელიც ზოგიერთი კოლმეურნეობათა ხელმძღვანელის მიერ ცხვრის ფარების ზამთრის საკვებით მომარაგების საქმეში დაშვებული დანაშაულებრივი უპასუხისმგებლობით გამოიხატა. მაგრამ დრამატურგმა ეს ფაქტი ისეთ ადამიანურ ამბებთან დააკავშირა, ისე ღრმად განაზოგადა, რომ იგი ბუნებრივად და ლოგიკურად გადაიზარდა ახლის ძველთან ბრძოლისა და საბჭოთა ადამიანის ახალი ბუნების მხატვრული ჩვენების პრობლემაში.

პიესის კონფლიქტი კონკრეტულ რეალიზაციას იმ შეჯახებაში პოულობს, რომელიც ერთი მხრივ მეცხვარეობის ფერმის გამგის თინიბეგ უთურგაულის, მისი შვილის ბრიგადირ გეგას და მეორე მხრივ დადებითს პერსონაჟებს შორის ხდება. ეს უკანასკნელნი ნამდვილ საბჭოთა ადამიანებს განასახიერებენ და ჩვენი ცხოვრების იმ დადებითს საწყისს, იმ კოლექტიურ ძალას წარმოადგენენ, რომელიც უარყოფითს უპირისპირდება და აცამტვერებს.

თინიბეგთან დაკავშირებული სიუჟეტური ხაზი ტრაგიკულ ასპექტშია გაშუქებული და ეს უდავოდ სწორია: ადამიანი, რომელიც კოლექტივს გამოეთიშება და პირადულს საზოგადოებრივ ინტერესებზე მაღლა დააყენებს, — ტრაგედიას ვერ ასცილდება, ეს ჩვენი სინამდვილის ტიპიური მოვლენაა. დრამატურგმა ეს დიდი საკითხი დასამახსოვრებელ კონკრეტულ სახეებში გადაწყვიტა და მეტყველი სიტუაციებით ცხადყო.

ს. ზაქარიაძემ მაღალი აქტიორული ხელოვნებით, ფსიქოლოგიური სიღრმით გახსნა ვერაგი თინიბეგის რთული, მზაკვრული ბუნება. ზაქარიაძის თინიბეგი ავი ბუნების უბირი მეცხვარე და პრიმიტიული პიროვნება როდია, იგი რთული ადამიანია — დიდი ვნებებით, ლაგამაწყვეტილი სურვილებით, ეშმაკი და გამჭრიახი გონებით, მაგრამ ბოროტი, ჭუჭყიანი სულით და ვერაგი ზრახვებით. იგი ეგოიზმითა და პატივმოყვარეობით შეპყრობილი მანიაკია, რომელიც საკუთარ მიზნებს ყველაფერს ანაცვალებს — ღვიძლ შვილებსაც კი.

ს. ზაქარიაძემ ეს ხასიათი გახსნა არა როგორც ვიწრო „ადგილობრივი“, არამედ როგორც ზოგადკაცობრიული. იგი მიუდგა მას ისევე, როგორც ოტელოს, ურიელს, ხლესტაკოვს. ამიტომ, როცა იგი უკიდურესი მგრძნობელობითა და ვნებიანობით ავსებს ამ ხასიათს (რასაც ერთი შეხედვით თითქოს მისი გადატვირთვისაკენ მივყავართ), ეს სიმართლის ღალატი კი არ არის, არამედ სახის იმნაირი გამოქანდაკებაა, როცა ინდივიდუალური იქცევა ზოგადკაცობრიულად, ეროვნული — საყოველთაოდ, ემპირიული — მხატვრულად და რეალური ფაქტი ხელოვნების ნიმუშამდე მაღლდება. შეიძლება მსახიობს არ დავეთანხმოთ და შევედავოთ სახის გაგებაში, მაგრამ მისი თამაში ნამდვილად შესანიშნავია.

ფსიქოლოგიური სირთულით ხასიათდება თინიბეგის შვილის გეგას სახე, რომელიც ავტორს ძუნწი, მაგრამ მეტყველი შტრიხებით აქვს მოხაზული. ეს დრამატიზებული ხასიათიც განზოგადებისაკენ გვეწევა. გეგას ტრაგიკული ბედი ცხადყოფს, რომ დღეს სიყვარულშიც მხოლოდ ღირსეული იმარჯვებს, რომ აქაც გარეგნულ მომხიბვლელობაზე მეტად მოქალაქეობრივი სრულქმნილება ფასობს.

აულაგმავმა ინდივიდუალიზმმა, სადავეშიშვებულმა ვნებამ, საზოგადოებრივი ინტერესების ჩახშობამ, მხოლოდ პირადულით ხელმძღვანელობამ და ვერაგი თინიბეგის გზიდან ამცდენმა წაბიძგებამ დაღუპვამდე მიიყვანა იგი.

ვ. გოძიაშვილმა შექმნა დასამახსოვრებელი სახე ვნებით აღვსარებული მთიელი ვაჟკაცისა, რომლის დაუდეგარ სულს და მცირე მოქალაქეობრივ თვითშეგნებას სიყვარული აფრას წაართმევს და, როგორც ეს ყოველ სადავეშიშვებულ გრძნობას სჩვევია, ბედნიერების მაგიერ უფსკრულისაკენ მიაქანებს. მკაცრად შერჩეული საღებავებით და შინაგანი თავდაჭერილობით ასახიერებს ამ როლს ვ. გოძიაშვილი, რომლის ყოველ სიტყვასა და მოძრაობაში იგრძნობა, რომ ეს გარეგნულად ცივი ყმაწვილი ნახტომისათვის მომზადებული ვეფხვი, უკიდურესობამდე შეკუმშული ფოლადის ზამბარაა, რომლის ცუდუბრალოდ გაშლა მასაც გასტეხს და სხვასაც დააზიანებს, ხოლო უნარიანი გამოყენება კეთილი საქმისათვის აამოქმედებს. ოსტატური ინტრიგის შემწეობით თინიბეგმა შეძლო გეგა თავისი შავბნელი ზრახვების იარაღად ექცია, მაგრამ ანგარიშში მოტყუვდა და მის მიერ მოწყვეტილმა ზვავმა ამირან რაინაული კი არა, საკუთარი შვილი დაიტანა ქვეშ.

გეგა საბედისწეროდ ეტრფის ახალგაზრდა მასწავლებელ ლელას. გულის სიღრმეში ქალსაც უყვარს ვაჟი, მაგრამ ხედავს, რომ გეგას საზოგადოებრივი ღირსება, მოქალაქეობრივი თვითშეგნება იმდენად მცირეა, რომ იგი უფლებას არ აძლევს მის ქალურ თავმოყვარეობას და ადამიანურ მეობას ხელი გაუწოდოს ვაჟს. დრამატურგს კარგად აქვს შემჩნეული თანამედროვე საბჭოთა ადამიანის განმასხვავებელი შტრიხი, მისი სიყვარულის განმასხვავებელი ნიშანი, როცა ადამიანის საზოგადოებრივი შეფასების კრიტერიუმი, თვით ისეთ უაღრესად ინტიმურ გრძნობაშიც კი, როგორიც სიყვარულია, სულ უფრო და უფრო გადამწყვეტ ფაქტორად გვევლინება.

გულწრფელად და სადად მიჰყავს ლელას როლი ნ. აფაქიძეს. მიუხედავად იმისა, რომ ლელა-გეგას რომანტიულ ხაზს დრამატურგიული დახვეწა-დამთავრება აკლია, მსახიობმა მაინც შეძლო მოწინავე სოფლის ინტელიგენტის და ვაჟკაცური სულის მქონე ქალიშვილის მიმზიდველი სახის გამოძერწვა.

პიესაში არის ერთი მეტად საინტერესო ხასიათი, რომელიც ხელს უწყობს ნაწარმოების მთლიანობას. გარდა იმისა, რომ იგი მეტად კოლორიტული, თავისთავადი ხასიათია, ორი სიუჟეტური ძარღვის შედუღება-შეკავშირების ხელშემწყობ ფაქტორადაც გვევლინება. ეს არის თინიბეგის მეუღლისა და გეგას დედის — საბედო უთურგაულის მხატვრული სახე. ძველი ცხოვრებიდან ტრადიციულად გადმოყოლილი გრძნობა ბრმა მორჩილებისა მამაკაცისადმი ებრძვის მასში თანასწორუფლებიანი ქალის მეობას. იგი ჯვარცმული ცოლი, დატანჯული დედაა, მაგრამ ვერაფერმა ვერ ჩაკლა მისი ადამიანობა, სათნოება და გულის სითბო. ძვირად დაუჯდა ქმრისადმი მორჩილება გამრჯე საბედოს, გვიან ამხილა მან ვერაგი თინიბეგი, და ამით თავიც დაღუპა და შვილიც. საბედოს ტრაგიკული სახე დიდი ექსპრესიით და მხატვრული დამაჯერებლობით განასახიერა ქართული სცენის ერთ-ერთმა შესანიშნავმა შემოქმედმა ს. თაყაიშვილმა. მსახიობი სწორად ჩასწვდა ავტორის იდეას და მისთვის დამახასიათებელი ფსიქოლოგიური სიღრმით გამოძერწა რთული სცენიური სახე. ეს სახე ერთ-ერთი საუკეთესოა ამ ორიგინალური მსახიობის მიერ შექმნილ სახეთა გალერიაში.

სარეცენზიო სპექტაკლი მეტად მაღალი აქტიორული შესრულებით ხასიათდება. ქართული სცენის ისეთ შესანიშნავ ოსტატებს, როგორიც არიან ს. თაყაიშვილი, ს. ზაქარიაძე, ვ. გოძიაშვილი, მხარში უდგას მთელი სცენიური ანსამბლი. სწორედ ეს ანსამბლურობაა მარჯანიშვილის თეატრის ყველა გამარჯვების ერთ-ერთი უმთავრესი პირობა. ამ თეატრის კოლექტივისათვის დამახასიათებელია მაღალი ინდივიდუალური ოსტატობის დაქვემდებარება ანსამბლურობის მოთხოვნილებისადმი, როცა მსახიობები მარტო თავიანთი ტალანტის გამომზეურებისაკენ კი არ ისწრაფვიან, არამედ პარტნიორისა და ანსამბლის შემოქმედებითი გააქტიურებისაკენ, იდეური შინაარსის უკეთ გახსნისაკენ, სიმართლითა და უშუალობით აღბეჭდილი სახეების შექმნისაკენ. მაღალოსტატური ინდივიდუალური შესრულებისა და ანსამბლურობის დაცვის ნიმუშად შეიძლება მოვიყვანოთ ა. ომიაძის და დ. ოქროსცვარიძის თამაში. ა. ომიაძემ მოხუცი ონისე თურმანაულის დაუვიწყარი სახე შექმნა. მისი თამაში გულწრფელობით, სისადავით, დიდი შინაგანი სითბოთი გამოირჩევა. უყურებ მას და გჯერა, რომ ნოვატორული, შთაგონებული შრომა და შემოქმედებითი ინიციატივა მილიონების თვისება გახდა, ხოლო სახალხო ქონებისადმი მზრუნველი დამოკიდებულება — საბჭოთა ადამიანის შინაგანი მოთხოვნილება.

ფლიდი, გაიძვერა, მლიქვნელი და თაღლითი ადამიანის სახე შექმნა დ. ოქროსცვარიძემ.

დიდ ღირსებებთან ერთად „ზვავს“ აქვს ზოგიერთი ხინჯიც. უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს რამდენიმე დადებითი ხასიათის დრამატურგიული გამოუკვეთელობა და სიმკრთალე. ასეთებია, მაგალითად, ამირან რაინაულის, კოლმეურნეობის პარტორგის გოჩას, სოფლსაბჭოს თავმჯდომარის ლაზროს სახეები. ამიტომ ამ როლების შემსრულებლები ქ. დაუშვილი, ა. კობალაძე, გ. გელოვანი არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

განსაკუთრებით საჭიროა ამირანის სახის დრამატურგიული გაშლა-გაცოცხლება. გარდა ამისა, ქ. დაუშვილი, რომელიც უდავოდ ნიჭიერი მსახიობია, ამ როლში არამიმზიდველი და უსახური მოჩანს. უფრო დამაჯერებლად უნდა გაკეთდეს ზვავის ჩამოწოლის ეპიზოდი, როცა გეგა იღუპება და ლელა ცოცხალი რჩება (უნდა ითქვას, რომ რეჟისორულად ეს ეპიზოდი ცუდად არის გააზრებული, ხოლო ტექნიკურად — უმწეოდ გაკეთებული). ეს მით უფრო საჭიროა, რომ მაყურებელს არ აღეძრას ეჭვი, ვითომ დრამატურგი ეხმარება ლელას უღირსი გეგას ჩამოცილებაში, რათა ღირსეულს დარჩეს. ვფიქრობთ აქა-იქ საჭიროა ზოგიერთი გარკვეულობის შემტანი შტრიხის გასმაც. მაგალითად, საჭიროა მინიშნება იმაზე, თუ როგორი იყო გეგა უწინ, რისთვის შეუყვარდა იგი ლელას, რატომ მალავს ქალი ასე ჯიუტად თავის გრძნობას მისდამი ან რატომ იცავს პატიოსანი ლაზრო ასე თავგამოდებით ვერაგ თინიბეგს, რა უდევს სარჩულად მის მფარველობას — მიუხვედრელობა, ანგარება თუ შიში?

მაგრამ პიესის ეს მეორეხარისხოვანი ნაკლოვანებანი სავსებით იჩრდილება მისი დიდი ღირსებებით. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მიხ. მრევლიშვილის „ზვავი“ თანამედროვე ქართული საბჭოთა დრამატურგიის დიდი და სასიხარულო მიღწევაა.

ამ პიესის სხვადასხვაგვარი წაკითხვა შეიძლებოდა (სპექტაკლის ხერხემლად გეგა-ლელას რომანის ქცევა, ანდა თინიბეგ-მაგდოს ტრაგედიის წინ წამოწევა). დამდგმელმა რეჟისორმა ვ. ყუშიტაშვილმა ამ ორი ხაზის კომპოზიციური თანასწორუფლებიანობა, მათი შინაარსობრივი პარალელიზმი არჩია. ვფიქრობთ, რომ ეს სწორი გზაა. სპექტაკლში იგრძნობა გამოცდილი, ერუდირებული დამდგმელი, რომლისთვისაც ხასიათების ფსიქოლოგიური გახსნა უმთავრეს ამოცანას შეადგენს. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს დადგმის ზოგიერთი ნაკლიც. ასეთია, მაგალითად, მოქმედების განვითარების დაბალი რიტმი და ჭარბი გატაცება პაუზებით, რაც განსაკუთრებით საგრძნობია პირველ სურათში. მეტი დამუშავება სჭირდება მასობრივ სცენებს, რომლებშიც კოლმეურნე ქალიშვილები და მოსწავლე ახალგაზრდები მონაწილეობენ. როგორც ვთქვით, ახლებურად უნდა იქნას გააზრებული ზვავის ჩამოწოლის ეპიზოდი. ზოგიერთი კორექტივი სჭირდება თუშურ კოსტიუმებსაც.

მოსაწონია ი. სუმბათაშვილის მხატვრული გაფორმება, რომელიც ხასიათდება შინაარსთან შეხამებით, პოეტური ფანტაზიითა და ეროვნული კოლორიტის ალღოიანი შეგრძნებით.

„ზვავის“ დადგმით მარჯანიშვილის თეატრმა მაღალ-მხატვრული და ამაღელვებელი სპექტაკლი შექმნა.

**გ. ციციშვილი.**

# ასე მზადდება ხალიჩა

ყველას უნახავს ლამაზი ხალიჩები, მაგრამ არც თუ ისე ბევრმა იცის ის გზა, რომელიც უნდა გაიაროს ამ ლამაზმა სამკაულმა სახის შექმნიდან მოქსოვამდე. თუ ფაბრიკული წესით მისი მოქსოვა სულ რაღაც საათების საქმეა, „დაპროექტებას“, ან როგორც მხატვრები უწოდებენ, გრავირაციას თვეები სჭირდება. მთელი წლის განმავლობაში შეიძლება დაპროექტდეს ორი-სამი ხალიჩა, რომელთაგან ზოგჯერ ერთს თუ ეღირსება ასახულ იქნას ქსოვილზე. გარდა ამისა, აუცილებელია „პროექტი“ იყოს ზუსტად იმ ზომისა, რა ზომისაც უნდა დამზადდეს პროდუქცია.

როგორც ცნობილია, ქსოვილების მოჩითვა ძნელი საქმე არ არის. ხალიჩების დასამზადებლად კი საჭიროა მუყაოს ფირზე გაკეთდეს იმდენი წვრილი ნაჩვრეტი, რამდენი ფერის ძაფიც იქნება საჭირო მხატვრის ჩანაფიქრის განსახორციელებლად. ეს მოითხოვს ზუსტ ალღოს, მახვილ თვალს, რომ მქსოველს არ შეეშალოს მუშაობაში და პროდუქციამ არ დაკარგოს ფერების ჰამმა. ასეთ ფირზე ან დაფაზე გადის ათასფერადი ძაფების ხლართი.

... ნადეჟდა ივანეს ასულმა ერესენკოვამ ექვსი წელი დაჰყო ქალაქ ლვოვის დეკორაციული და სახვითი ხელოვნების ინსტიტუტში და უკრაინული ქარგვის ოსტატთა გავლენით დიდ მიდრეკილებას იჩენდა ხალიჩის მოხატულობის შექმნისადმი. პროფესორ-მასწავლებლებმა დაასკვნეს, რომ იგი შესანიშნავი მხატვარ-გრავიორი გამოვა. 1954 წელს წარჩინებულის დიპლომით იგი საქართველოსაკენ გამოეშურა. ცხაკაიას ხალიჩების საქსოვ ფაბრიკაში მხატვარი გულთბილად მიიღეს. მოკლე ხანში მან შეძლო მდიდარი ქართული მოხატულობის ელემენტებზე შექმნა ხალიჩის პროექტი, რომელმაც პირველი პრემია დაიმსახურა.

**გ. მილიუტინი,**
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.



**სურათზე.** მხატვარი ნ. ერესენკოვა მუშაობს ხალიჩის ახალ პროექტზე.

# მოსწავლეთა არდადეგების დღეებში

საქართველოს ალკკ თბილისის 26 კომისრის რაიკომმა და სომხური დრამის თეატრმა 2 აპრილს თეატრის შენობაში მოაწყეს რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობის შეხვედრა თბილისის თეატრების მსახიობებთან.

შეხვედრის დაწყებამდე ფოიეში მოეწყო მოსწავლეთა მასობრივი გართობა-თამაშობა, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ მსახიობები. შეხვედრა გახსნა კომკავშირის რაიკომის მდივანმა ზ. კუხიანიძემ. სიტყვებით გამოვიდნენ 87-ე სკოლის მოსწავლე ა. სილაგაძე, 96-ე რუსული სკოლის მოსწავლე ნ. პოპოვა, გრიბოედოვის სახელობის თეატრის მსახიობი ე. კერჟენცევიჩი, სომხური დრამის თეატრიდან რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი პაჰარე, მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრიდან რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მ. ბუბუტეიშვილი, რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობი თ. ქვარიანი.

შეხვედრის შემდეგ გაიმართა კონცერტი.

* * *

3 აპრილს მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართულმა თეატრმა მოსწავლეთა საგაზაფხულო არდადეგებთან დაკავშირებით უფროსი კლასის მოსწავლეებისათვის მოაწყო კოსტიუმირებული კარნავალი.

საზეიმოდ გაჩირაღდნებულ დარბაზში ცეკვავდნენ სხვადასხვა კოსტიუმებით გამოწყობილი წყვილები — კავკასიელი ბიჭი და მექსიკელი გოგონა, დურმიშხანი და ვარდო, იერემია წარბა და ესმა, ოტელო და დეზდემონა, ქეთო და კოტე, ტორეადორი და კარმენი, კრაზანა და ჯამა, რომეო და ჯულიეტა და სხვ.

საღამო მიჰყავდა ბავშვების საყვარელ მსახიობს რესპუბლიკის სახალხო არტისტს გოგუცა კუპრაშვილს. გაიმართა მასობრივი გართობა-თამაშობანი, ცეკვები ჯილდოზე.

# გ. თ. სტურუას დაკრძალვის მოწყობის შესახებ

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორის გ. თ. სტურუას დაკრძალვის მოსაწყობად შეიქმნა კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. დ. ჭიჭინაძე (თავმჯდომარე), ნ. ჭახრაკია, გ. ჟორჟიკაშვილი, ვ. ეპიტაშვილი, ლ. ქავთარაძე. გ. თ. სტურუას დაკრძალვა მიღებულია სახელმწიფოს ხარჯზე. განსვენებულის ოჯახს მიეცა ერთდროული დახმარება.

# მიტინგი ხანოიში ა. ი. მიქოიანის ჩასვლის გამო

ხანოი, 3 აპრილი. (საქდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ა. ი. მიქოიანის ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ყოფნის გამო დღეს ხანოიში გაიმართა მიტინგი, რომელშიც მონაწილეობდა 150 ათასზე მეტი კაცი.

მიტინგის მონაწილენი მქუხარე მისალმებითა და ტაშის გრიალით შეხვდნენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს ხო ში მინს და ა. ი. მიქოიანს, როცა ისინი ტრიბუნაზე გამოჩნდნენ. ტრიბუნაზე იყვნენ აგრეთვე უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე შ. რ. რაშიდოვი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი ფამ ვან დონგი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო მოღვაწეები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

მიტინგს ესწრებოდნენ ხანოიში დიპლომატიურ მისიათა წარმომადგენლები.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა პრეზიდენტმა ხო ში მინმა. მან განაცხადა, რომ ხანოის მოსახლეობა და ვიეტნამის ხალხი სიხარულით მიესალმებიან საბჭოთა სტუმრებს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვიეტნამელ და საბჭოთა ხალხებს მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა აქვთ.

საპასუხო სიტყვაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ი. მიქოიანმა მადლობა გადაუხადა ხანოის მოსახლეობას გულთბილი მიღებისათვის. მან რწმენა გამოთქვა, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის, ვიეტნამის მშრომელთა პარტიისა და ვიეტნამის სამშობლო ფრონტის ხელმძღვანელობით ვიეტნამელი ხალხი განახორციელებს თავის მისწრაფებას — გააერთიანებს ვიეტნამს მშვიდობიანი დემოკრატიული საშუალებებით.

# მეცნიერ მუშაკთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი საბჭოს განცხადება

პეკინი, 3 აპრილი. (საქდესი). დღეს პეკინში ინგლისელი ფიზიკოსის, ბრისტოლის უნივერსიტეტის პროფესორის, ნობელის პრემიის ლაურეატის პაუელის თავმჯდომარეობით გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელზეც წაკითხულ იქნა მეცნიერ მუშაკთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი საბჭოს განცხადების ტექსტი. საბჭოს მე-16 სესია 1 აპრილს გაიხსნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქში.

მეცნიერ მუშაკთა მსოფლიო ფედერაციამ ბევრ სხვა ორგანიზაციასთან ერთად, ნათქვამია განცხადებაში, არაერთგზის მიაქცია ყურადღება საფრთხეს, რომელიც უკავშირდება ატომგულის იარაღის შემდგომ წარმოებას, დაგროვებასა და საცდელ აფეთქებებს.

ფედერაციას მიაჩნია, რომ ეს საფრთხე შეიძლება აღმოიფხვრას მხოლოდ იმ გზით, თუ დაიდება ფართოდ გამიზნული შეთანხმება განიარაღების საკითხზე და იმ საკითხზე, რომ დიდმა სახელმწიფოებმა აკრძალონ ასეთი იარაღი. ამიტომ მეცნიერ მუშაკთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი საბჭოს მე-16 სესია მიესალმება შემდგომ მოლაპარაკებებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტში.

განცხადების ავტორები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ დაიდოს საერთაშორისო კონვენცია ატომისა და თერმოატომგულის იარაღის ყველა შემდგომი გამოცდის აკრძალვის შესახებ. ისინი მოუწოდებენ ყველა ქვეყნის მეცნიერებს „კიდევ უფრო მტკიცედ აღიმაღლონ ხმა ამ იარაღის შემდგომი წარმოების, დაგროვებისა და გამოცდის წინააღმდეგ, რათა ენერგიის დიდი ახალი წყაროები, რომლებიც ხელმისაწვდომი გახდა იმის წყალობით, რომ ადამიანმა აითვისა ატომგულის ენერგია, შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ მშვიდობიანი მიზნით და მთელი კაცობრიობის სიმდიდრის გადიდებისა და ბედნიერებისათვის“.

# გი მოლეს ინტერვიუ

## „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტის“ კორესპონდენტისადმი

ნიუ-იორკი, 2 აპრილი. (საქდესი). საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა გი მოლემ უპასუხა კითხვებზე ამერიკის ჟურნალ „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტის“ კორესპონდენტს.

კითხვაზე, საბჭოთა კავშირში „პოლიტიკის ნამდვილი შეცვლა ხდება, თუ ეს მარტოოდენ ტაქტიკის შეცვლააო“, გი მოლემ უპასუხა:

„მე არ ვიცოდი მანამდე, სანამ ჩემს პოსტს დავიკავებდი. სწორედ ასევე არ ვიცი ამჟამადაც. შემიძლია მეტიც ვთქვა. თქვენ ვერასოდეს ვერ გაიგებთ, და მე ვერასოდეს ვერ გავიგებ, რამდენადაც ეს განსხვავება ტაქტიკასა და პოლიტიკას შორის, სტრატეგიასა და კეთილ ნებას შორის მეტად ფორმალისტური განსხვავებაა. საკითხის ამგვარად დაყენება ნიშნავს განაცხადო, რომ რუსებს სწორედ ამგვარად შეუძლიათ უეცრად გამოიყენონ ასეთი და ასეთი სტრატეგია. მაგრამ რუსეთი ისეთივე ქვეყანაა, როგორც სხვები, თავისი შინაგანი პრობლემებით, საგარეო ურთიერთობის პრობლემებით. რუსეთს მხედველობაში უნდა ჰყავდეს ჩინეთი. მას მხედველობაში უნდა ჰქონდეს შინაგანი მოთხოვნები, მხედველობაში უნდა ჰყავდეს სატელიტები — პოლონეთი, რუმინეთი და სხვ. უდავოა, რომ რუსებს აქვთ მიზანი. როგორია იგი? ჩვენ არ შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ: უცვლელი რჩება თუ არა ეს მიზანი? შესაძლოა, რჩება. შეიძლება თუ არა იგი რამდენადმე შეიცვალოს? შესაძლოა. რა არის ჩვენთვის საჭირო, რომ გავიგოთ? ის, რაც დღეს რუსეთში მხოლოდ სტრატეგიას წარმოადგენს, ჩვენი მოქმედების შედეგად შეიძლება პოლიტიკა გახდეს“.

შემდეგ კორესპონდენტმა ჰკითხა: „მიგაჩნიათ თუ არა, რომ რუსეთის ახლანდელ მთავრობასთან შესაძლებელია რეალური მშვიდობა, თუ მიგაჩნიათ, რომ ჩვენ კვლავ ვმონაწილეობთ ძველ ბრძოლაში, რომლის ფორმებიც იცვლება“.

პასუხი: „მშვიდობა ყოველთვის შესაძლებელია მართვა-გამგეობის ყოველგვარი ფორმის დროს. არ უნდა დავიწყოთ იმ იდეის მიღებით, რომ მართვა-გამგეობის ისეთი ფორმების არსებობა, რომლებიც ჩვენ არ მოგვწონს, იწვევს ომს. ამ შემთხვევაში მსოფლიოს ყველა ქვეყანა ყოველთვის შეძლებდა გაემართლებინა ახალი ომი, მათ რომ სჭირდებოდეთ ზრუნვა მეზობელი ქვეყნების მართვა-გამგეობის ფორმებისათვის. მაშინ დედამიწაზე მშვიდობა არ იქნებოდა“.

კითხვაზე, მიგაჩნიათ თუ არა, რომ „საბჭოთა აგრესიის საფრთხე აღარ არისო“, გი მოლემ უპასუხა:

„მე არასოდეს არ მიმაჩნდა, რომ ასეთი საფრთხე არსებობს. და არც შემიცვლია ჩემი აზრი. არ ვფიქრობ, რომ ეს რუსეთის ინტერესებს შეესაბამებოდეს. მე მგონია, რომ არ შეიძლება რუსებს ომი სურდეთ“.

კითხვა: ისინი მცირე ომების წინააღმდეგი არ იყვნენ, ხომ ასეა?

პასუხი: ისეთი ომებისა, რომლებსაც სხვები აწარმოებენ და არა ისინი. მაგრამ არ მიმაჩნია, რომ მათ სურდეთ მსოფლიო ომი, იმიტომ რომ მათს ტექნიკურ სპეციალისტებს სტრატეგებსა და ეკონომისტებს არ შეუძლიათ ისე იმუშაონ ამ საკითხზე, რომ შიში არ ჰქონდეთ. შესაძლოა, მათ მოიგონ პირველი ბრძოლები. მათ მშვენივრად იციან, რომ ომის წაგების ბევრი შანსი ექნებათ. ხოლო რაც უფრო მნიშვნელოვანია, მათ ძვირად დაუჯდათ წარსული ომი. მე არა მჯერა, რომ რუსებს ომი სურთ. შეიძლება შევეკითხოთ თავს — კვლავ აქვს თუ არა რუსეთს მისწრაფება ექსპანსიისადმი? ჩვენ არ ვიცით. ჩვენ ვიცით შემდეგი: თუ ჩვენი პოზიცია პოზიტიური იქნება, რუსეთის პოლიტიკაში შეიძლება ევოლუცია მოხდეს.

კითხვა: იმის თქმა ხომ არ გინდათ, რომ თუ რუსები აღარ აპირებენ აწარმოონ ომი, დასავლეთს აღარ ესაჭიროება იყოლიონ დიდი შეიარაღებული ძალები?

პასუხი: რა თქმა უნდა, არა. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ მარტო ჩვენ შევამციროთ სამხედრო ძალები, თუ რუსეთმა არ შეამცირა თავისი სამხედრო ძალები. ჩვენ რომ ეს ვქნათ, თეზისი, რომელიც ეს ეს არის ჩამოვაყალიბე, სწორი არ იქნება. რუსეთი ვერ გაითვალისწინებს აგრესიულ ომს, იმიტომ, რომ ამჟამად მის სტრატეგებსა და ეკონომისტებს შეუძლიათ ჩათვალონ, რომ რუსეთი წააგებს ომს. ხოლო თუ ჩვენ შევანელებთ ჩვენს თავდაცვას, რუსეთმა შესაძლოა გაითვალისწინოს ომი. განიარაღება ან საყოველთაო უნდა იყოს ან სულაც არ უნდა იყოს.

კითხვაზე, თუ რა ცვლილებებს ითვალისწინებს საფრანგეთის მთავრობა საგარეო პოლიტიკაში, გი მოლემ უპასუხა, რომ, როგორც მან ეროვნულ კრებას განუცხადა თავის სიტყვაში, როცა თანამდებობა დაიკავა, „ჩვენი საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები რჩება. ჩვენ კვლავ ვიცავთ თავისუფლებას ყველგან, სადაც კი იგი შეიძლება საფრთხეში აღმოჩნდეს, შეგვაქვს ჩვენი წვლილი ამ თავდაცვაში და იმედი გვაქვს, რომ სხვები ითანამშრომლებენ ამ თავდაცვაში. მაგრამ ჩვენ ვცდილობთ, რომ ჩვენს პარტნიორებს ატლანტიკის სამყაროში შევაცვლევინოთ პოზიცია. ჩვენ გვინდა უკეთ მოვაწყოთ ეს თავდაცვა დასავლეთის სახელმწიფოთა მოქმედება ამ უკანასკნელ წლებში მაინცდამაინც წარმატებითი ვერ იყო“.

როცა გი მოლეს სთხოვეს უფრო კონკრეტულად გამოეთქვა აზრი, მან თქვა, განიარაღების საკითხი ნაცვლად იმისა, რომ დაისვას მესამე ადგილზე, როგორც ეს მოხდა საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირზე გასული წლის ნოემბერში, უნდა დაისვას პირველ ადგილზე. განაცხადა რა, რომ ამ თვალსაზრისს „უნდა იზიარებდეს ყოველი მთავრობა, რომელსაც აწუხებს ევროპის ერთიანობის საკითხები“, მოლემ აღნიშნა, რომ ევროპის საბჭომ მხარი დაუჭირა ამ თვალსაზრისს შარშან. მან დასძინა: „სხვანაირად რომ მოვქცეულიყავით, არ უნდა გვქონოდა შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობის რაიმე ილუზია. ეს განუხორციელებელი ოცნება იყო. ჩვენ არ ვიცით, სურთ თუ არა რუსებს გერმანიის გაერთიანება. შესაძლებელია მათ არც კი სურდეთ ეს გაერთიანება. მაგრამ ერთი რამ შეიძლება გარკვეულად მივიჩნიოთ: თუ არსებობს იმის რაღაც შანსი, რომ რუსებს სურთ გერმანია გაერთიანებული ნახონ, ეს შანსი არსებითად შეიძლება გავითვალისწინოთ მხოლოდ საერთო მსოფლიო განიარაღების ფარგლებში. ძნელია წარმოვიდგინოთ გერმანიის გაერთიანება შეიარაღების პერიოდში, განსაკუთრებით ევროპის ცენტრში, რაც რუსებისათვის, — მიუხედავად ფრიად მნიშვნელოვანი და კონკრეტული გარანტიებისა უშიშროების შესახებ, რომლებიც მათ დასავლეთმა შესთავაზა, ნიშნავს გაერთიანებულ გერმანიას, შეიარაღებულს და მთლიანად შეყვანილს ატლანტიკის პაქტში. თუ ჩვენ თავს დავაყენებთ რუსების ადგილას, უნდა ვაღიაროთ, რომ, რა თქმა უნდა, მათთვის ეს მიუღებელია. პირიქით, თუ დავიწყებთ საყოველთაო განიარაღების პრობლემის გადაჭრით, ევროპის უშიშროების პრობლემა უფრო ადვილი გახდება. ეს არის მისი გადაჭრის გზა. ხოლო უშიშროების ფარგლებში უფრო მისაღწევი გახდება გერმანიის გაერთიანებაც.

კორესპონდენტმა შემდეგი კითხვა მისცა მოლეს: „როგორ გგონიათ, მას შემდეგ, რაც მიღწეულ იქნება შეთანხმება საყოველთაო განიარაღების შესახებ, გერმანია ნატო-ს წევრი აღარ იქნება?“

მოლემ უპასუხა: „საქმე იმას როდი ეხება, რომ მოვითხოვოთ გერმანიის გამოსვლა უშიშროების ორგანიზაციიდან. განიარაღების იმ გეგმის პირველ ეტაპზე, რომელიც საფრანგეთმა და ინგლისმა წარადგინეს, თვითეული ქვეყანა დარჩება მისი ახლანდელი კავშირების შემადგენლობაში — დასავლეთის ქვეყნები ნატოში, ხოლო აღმოსავლეთის ქვეყნები ვარშავის პაქტში. მაგრამ თვითეული ქვეყნის შეიარაღებული ძალები და შეიარაღება შეზღუდული იქნება შეთანხმებული დონით. ამრიგად, გერმანიისათვის გათვალისწინებული ჯარების რაოდენობა სულ სხვა გახდება მას შემდეგ, რაც მიღწეულ იქნება შეთანხმება განიარაღების შესახებ. განიარაღების პირველ ეტაპზე დასახულია შეიარაღებული ძალებისა და ზოგიერთ სახეობათა შეიარაღების ოდენობის შემცირება ყველა ქვეყნისათვის. შემდეგ საერთაშორისო მოლაპარაკებას სავსებით შეიძლება მოჰყვეს ის, რომ რუსეთი დათანხმდეს თავისუფალ არჩევნებზე გერმანიაში. ამ მოლაპარაკების შედეგად გერმანიის სტატუსი უშიშროების ორგანიზაციების მიმართ შესაძლოა შეიცვალოს. მე არ ვამბობ, რომ ეს ნიშნავს იმას, რომ გერმანიამ უარი თქვას ნატო-ს წევრობაზე. მაგრამ შესაძლებელი გახდება განხილვა. ამ მომენტში არავის არ უნდა ჰქონდეს იმის პრეტენზია, რომ ახლავე განისაზღვროს, თუ როგორი იქნება გერმანიის შემდგომი სტატუსი“.

უპასუხა რა სხვა კითხვაზე, მოლემ თქვა, რომ რუსებთან მოლაპარაკებაში „ჩვენ ნამდვილად გვსურს, რომ კარი ღია დარჩეს ყოველგვარი წინადადებისათვის. მაგრამ თვითონ ჩვენ მთავარ ყურადღებას ვაქცევთ ერთ წინადადებას— წინადადებას საყოველთაო განიარაღების შესახებ“.

კითხვაზე, ითვალისწინებთ თუ არა, რომ შესაძლებელია გაერთიანებული გერმანიის ევროპის კავშირში შეყვანა, მოლემ უპასუხა: „უეჭველად, ევროპის კავშირში არის ადგილი გაერთიანებული გერმანიისათვის სწორედ ისე, როგორც იქ არის ადგილი გერმანიის ფედერალური არმიისათვის. მაგრამ ერთი რამ ნათელია: გერმანია, გაერთიანებული იქნება იგი თუ არა, უფრო ადვილი იქნება შევიყვანოთ ევროპის კავშირში ეკონომიურად, სოციალურად და პოლიტიკურადაც კი, თუ ყოველივე ამას გავითვალისწინებთ განიარაღების ფარგლებში“.

უპასუხა რა შემდგომ კითხვებზე ევროპის კავშირის შესახებ, მოლემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საფრანგეთის წინადადება ხელშეკრულების შესახებ, რომელიც ეხება ევროპის ატომის ენერგიის გაერთიანების შექმნას, ითვალისწინებს ატომგულის იარაღის წარმოების აკრძალვას.

მოლეს ჰკითხეს, როგორ მიგაჩნიათ, გაძლებს თუ ვერა ნატო „თანაარსებობის“ მომავალ წლებში? მან უპასუხა: „ეს აუცილებლობაა. მე ვთქვი, რომ საჭიროა შევიმუშაოთ სხვა მიდგომა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობისადმი. ეს სხვა მიდგომა შესაძლებელი გახდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დასავლეთი მტკიცე და ძლიერი იქნება. მოლაპარაკების წარმოება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა ძლიერი ხარ“.

უპასუხა რა სხვა კითხვაზე, მოლემ იმედი გამოთქვა, რომ ნატო შეძლებს მალე განავითაროს ეკონომიური თანამშრომლობა და რომ ამერიკის ჯარები „რაც შეიძლება მეტ ხანს დარჩებიან ევროპაში“.

მოლეს სთხოვეს განემარტა, თუ რა განსხვავებაა ამერიკასა და ინგლის-საფრანგეთის წინადადებებს შორის განიარაღების შესახებ. მოლემ თქვა: „მე არა მგონია, რომ დიდი განსხვავებაა საფუძვლებში. განსხვავება პრობლემისადმი მიდგომაშია. ჩემთვის სამწუხაროა დასავლეთის ამ უკანასკნელი წლების პოლიტიკის სწორედ ეს მხარე. ჩვენ ვეთანხმებით შეერთებულ შტატებს, რომ საჭიროა ყოველი საშუალებით განვამტკიცოთ ჩვენი სამხედრო უშიშროება. მაგრამ ეს მსოფლიოში ერთადერთი პრობლემა როდია. თუ ჩვენ მუდამ ვილაპარაკებთ მხოლოდ უშიშროებაზე სამხედრო თვალსაზრისით, ვერ მოვიგებთ ფსიქოლოგიურ ბრძოლას აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის“.

გი მოლეს ჰკითხეს, რატომ მიაჩნიათ მიზანშეუწონლად შეერთებული შტატების მიდგომა, რომელსაც საფუძვლად უდევს პრინციპი „განუხრელად“. მოლემ უპასუხა: „რუსებს სხვა იდეები აქვთ, და ამიტომ სწორედ საფრანგეთ-ინგლისის გეგმა ცდილობს მოახდინოს ყველა წინადადების სინთეზი. არ შეიძლება ითქვას, რომ რუსები უეჭველად უარყოფენ ასეთ საერთო გეგმას. მაგრამ რუსები უეჭველად განაგრძობენ ლაპარაკს განიარაღებაზე, როგორც პირველი რიგის საჭიროებაზე. მაგრამ ჩვენი ამერიკელი მეგობრების სკეპტიციზმი ისეთია, რომ ისინი პირდაპირ ამბობენ—„არა“. ყოველთვის, როცა შეერთებული შტატები ამბობენ—„არა“, ჩვენ ვაგებთ ბრძოლას მსოფლიო საზოგადოებრივი აზრისათვის. ადამიანებს გამოაქვთ დასკვნა: „მაშასადამე, მშვიდობა სურს რუსეთს. მაშასადამე, შეერთებულ შტატებს არა სურთ მშვიდობა“.

შეერთებულ შტატებს, დასძინა მოლემ, გაცილებით უფრო ნაკლებ ზიანს აყენებს ეს, ვიდრე საფრანგეთს, იტალიას და ევროპის სხვა ქვეყნებს, სადაც ამის შესაბამისად ხალხი სულ უფრო უჭერს მხარს კომუნისტებს. „ვაპირებთ თუ არა ჩვენ კვლავაც გავიმეოროთ ეს ფსიქოლოგიური შეცდომა? ვაპირებთ თუ არა კვლავაც დავრჩეთ ისინი, ვინც თითქოს ამბობს: „ჩვენ არა გვჯერა განიარაღება. ჩვენ არა გვჯერა კონტროლი“. ვშიშობთ, რომ სწორედ ასე ფიქრობენ გულის სიღრმეში ამერიკელები. შეერთებულ შტატებში ვიღაცამ ოდესღაც თქვა: „კონტროლი შეუძლებელია“. მაგრამ არ შეიძლება ვთქვათ, „კონტროლი შეუძლებელიაო“, და იქვე განვაცხადოთ: „ჩვენ დავთანხმდებით ეიზენჰაუერის გეგმის განხორციელებაზე“. არ შეიძლება ვთქვათ, „კონტროლი შეუძლებელიაო“, და შემდეგ მოვითხოვოთ მეთვალყურეობა მთელი მსოფლიოსადმი საჰაერო დაზვერვის საშუალებით. ჩვენ, ფრანგები, ეიზენჰაუერის წინადადების მომხრენი ვართ. ამიტომ, ვამბობთ, რომ კონტროლი შესაძლებელია“.

უპასუხა რა შემდეგ კითხვაზე, მოლემ თქვა: თუმცა საფრანგეთს იმედი აქვს მიაღწიოს ახალი ტაქტიკის მიღებას, მაგრამ მართალი არ არის, რომ საფრანგეთი ცდილობს „ხიდი“ გახდეს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. მოლეს ჰკითხეს, აპირებთ თუ არა თქვენ და პინო მოსკოვს მოგზაურობის დროს ახალი ტაქტიკა სინჯოთო. მან უპასუხა: „ჩვენ განვიხილავთ გარკვეული რიგის პრობლემებს — სპეციფიკურად საფრანგეთ-რუსეთის პრობლემებს და შევეცდებით გამოვარკვიოთ რუსეთის ნამდვილი განზრახვები... არ მოიპოვება ადამიანი, რომელსაც შეეძლოს დაეჭვდეს ჩვენს ერთგულებაში დასავლეთისადმი, და როცა ჩვენ რუსეთიდან დავბრუნდებით, ვერავინ ვერ იტყვის, რომ თამაშში ჩვენ რაღაც განსაკუთრებული ფრანგული კარტი გამოვიყენეთ.

შემდეგ მოლემ გამოთქვა აზრი, რომ დასავლეთის მხრივ „არასწორი მიდგომა“ შეიძლება დავასურათოთ აზიის მაგალითით. აღნიშნა რა, რომ „ხრუშჩოვის მოგზაურობამ და მისმა დაპირებამ საავადმყოფოს მოწყობილობის ჩუქების შესახებ არაჩვეულებრივი გამოხმაურება გამოიწვია ინდოეთსა და მთელ შორეულ აღმოსავლეთში“, მოლემ თქვა, რომ ეს არის ილუსტრაცია ლათინური ანდაზისა, რომელიც ამბობს: „იმდენი მნიშვნელობა იმას როდი აქვს, თუ რას აჩუქებენ, რამდენიც იმას, თუ როგორ აჩუქებენ“. მოლემ თქვა, რომ ეს არის შედეგი ამერიკის წარმომადგენელთა „ქედმაღლობისა“, რომელნიც ანაწილებენ დახმარებას, და ამერიკის მთავრობის მისწრაფებისა დაუკავშიროს ეს დახმარება პირობებს, რაც ნიშნავს: თქვენ არაფერს არ იძლევით; თქვენ აბრიყვებთ მიამიტებს. თანაც თქვენ ამას ისეთ დროს აკეთებთ, როცა რუსები და აღმოსავლეთის ბლოკი გიგანტურ ღონისძიებებს ხმარობენ, როცა მათ და ჩვენს შორის კონფლიქტის ახალი ფაზა ეკონომიურ ფაზას წარმოადგენს. ამ ფაზაში რუსები ცდილობენ მიიმხრონ შორეული აღმოსავლეთი, შემდეგ შუა აღმოსავლეთი, ხოლო შემდეგ აფრიკა უხვი და აბსოლუტურად უანგარო დაპირებათა საშუალებით, ყოველ შემთხვევაში ასე ამბობენ ისინი, მაშინ როცა თვითეული ჩვენგანი, ხოლო თქვენ სხვებზე მეტად, იზოლირებულად ვმოქმედებთ, ხშირად კი მეტოქეობას ვუწევთ ერთმანეთს. ეს რომ გავიგოთ, საკმარისია შევხედოთ იმას, თუ რა ხდება არაბთა სამყაროში, სადაც ყოველი ჩვენგანი იმისათვის, რომ თავისი ნავთობი დაიცვას, ემზადება ცეცხლი წაუკიდოს მთელ შუა აღმოსავლეთს.

გი მოლეს ჰკითხეს, როგორ უნდა ხდებოდეს დახმარების გაწევაო. მან უპასუხა, რომ დახმარების გაწევა უნდა ხდებოდეს ერთობლივად და არა ცალმხრივად და ეს უნდა კეთდებოდეს „უანგაროდ“. მან დასძინა, რომ „კარგი მეთოდი“ იქნებოდა დახმარების გაწევა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელით.

მოლემ დადებითი პასუხი გასცა კითხვაზე, შეიძლებოდა თუ არა იმ ხმების შემცირება, რომლებსაც კომუნისტებს აძლევენ საფრანგეთში. მაგრამ, თქვა მან, ამის მიღწევა არ შეიძლება ამერიკული სტილის თავდასხმებით კომუნიზმზე, „როცა არ იცი, თუ რას წარმოადგენს იგი“, იმიტომ რომ „კომუნიზმის იდეა თავისთავად მიმზიდველია მუშებისათვის“.

კითხვაზე სახალხო ფრონტის შექმნის შესაძლებლობის შესახებ მოლემ გამოთქვა რწმენა, რომ სახალხო ფრონტი არ იქნება „მანამდე, სანამ მე პასუხსაგები პოსტი მიკავია ან მთავრობაში, ან სოციალისტური პარტიის სათავეში“.

მოლეს ჰკითხეს, რა იდო საფუძვლად ანტიამერიკულ კრიტიკას საფრანგეთში ამ უკანასკნელ ხანს. მოლემ უპასუხა, რომ ფრანგები მეტად მგრძნობიარენი არიან კოლონიურ საკითხში. მან დასძინა: „ამერიკის ზოგიერთი მეორეხარისხოვანი წარმომადგენელი საფრანგეთში მაინცდამაინც კარგად ვერ იქცეოდა... ისინი ყველას ჭკუას ასწავლიდნენ... გარწმუნებთ, რომ თქვენი ადამიანების ეს მისწრაფება რჩევა-დარიგებისადმი პირდაპირ წარმოუდგენელია. ზიანი, რომელიც მათ შეუძლიათ თქვენ მოგაყენონ, — საშინელია. თავის მხრივ ფრანგმა არაფერი არ იცის შეერთებული შტატების შესახებ, გარდა იმისა, რომ თქვენ ზანგებს ხოცავთ. რამდენადაც ვიცი, უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე მაქსიმუმ სამ-ოთხჯერ მოხდა ლინჩის კანონით გასამართლება. იქნებ, ხუთჯერ. მაგრამ საფრანგეთის პრესა იმგვარად ხატავდა ამას, რომ რიგითი ფრანგი დარწმუნებულია, რომ თქვენ თითო ზანგს კლავთ ყოველ სამ დღეში. ეს სამწუხაროა. ეს ცუდი როლია, რომელსაც პრესა ასრულებს ორივე ქვეყანაში.

ეს საქმე ზანგისა, რომელიც ლინჩის კანონით გაასამართლეს. ეს სამწუხარო პროცესი მისისიპში, ახალგაზრდა ზანგი ქალიშვილის გარიცხვა უნივერსიტეტიდან, — აი რატომ გაიგონებთ, რომ ფრანგები ამბობენ: „ისინი გვისაყვედურებენ, თქვენ კოლონიზატორები ხართო. მაგრამ ჩვენში ზანგები სწავლობენ პარიზის, ბორდოს, ალჟირისა და ლილის უნივერსიტეტებში“. ისინი არ იღებენ ამათ რჩევასა და აზრს, ვინც, მათი აზრით, იმავე შეცდომას სჩადის.




საქართველოს კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა. სურათზე: სამკითხველოს მთავარ დარბაზში.

# სპორტის ამბები

## საბჭოთა კავშირის ახალი რეკორდი, რომელიც მსოფლიო რეკორდს აღემატება

ლვოვი, 2 აპრილი. (საქდესი). აქ მიმდინარეობს საუწყებათაშორისო შეჯიბრება ტყვიის სროლაში. შეჯიბრებაში ახალი წარმატება მოიპოვეს სპორტსმენებმა — საბჭოთა არმიის მსროლელებმა. ნებისმიერი წვრილკალიბრიანი პისტოლეტის 50 მეტრზე სროლაში სამოცი გასროლით პირველმა გუნდმა, რომელშიც შედიან მაჰმუდ უმაროვი, ანტონ იასინსკი, ვლადიმერ ტორინი, ლევ ვაინშტეინი და ვალენტინ გამალოვი, მოაგროვა 2.771 ქულა 3 ათას შესაძლებელში. ეს შედეგი 2 ქულით აღემატება სსრ კავშირისა და მსოფლიოს რეკორდს, რომელიც წინათ დაამყარა საბჭოთა კავშირის ნაკრებმა გუნდმა.

## საქართველოს პირველობა ფეხბურთში

დაიწყო საქართველოს 1956 წლის პირველობის გათამაშება ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა უძლიერესი კოლექტივები. პირველ ჯგუფში გაერთიანებულია 16 გუნდი.

მეორე ტურის მატჩები შედგა თბილისში, სოხუმში, ქუთაისში, გორში, ფოთში, რუსთავში. შეხვედრათა შედეგი ასეთია: „მეტალურგი“ (რუსთავი) — თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდი 0:2, „დინამო“ (ქუთაისი) — „სპარტაკი“ (სტალინირი) 2:0, „ბურევესტნიკი“ (ფოთი) — „კოლმეურნე“ (ქობულეთი) 2:1, „დინამო“ (სოხუმი) — „დინამო“ პირველი (თბილისი) 2:1, „დინამო“ (გორი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 1:0, ახალქალაქის ნაკრები გუნდი — ახალგაზრდობის ფეხბურთის სკოლის გუნდი (თბილისი) 0:4, თბილისის 26 კომისრის რაიონის გუნდი — „ლოკომოტივი“ (თბილისი) 0:2.

## ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატი

თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში რამდენიმე დღეა მიმდინარეობს საქართველოს 1956 წლის პირველობის გათამაშება ჭადრაკში ქალთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობს 17 მოჭადრაკე. მათ შორის არიან საერთაშორისო ოსტატი ო. იგნატიევა და სპორტის ოსტატი ნ. ვოიციკი (კონკურსგარეშე), აგრეთვე ქ. გოგიავა, ე. კაკაბაძე, ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე ნ. გაფრინდაშვილი და სხვ.

5 აპრილამდე გათამაშდა 3 ტური. მესამე ტურში ტ. ტოგონიძემ მოუგო მ. სტატნიკოვას, ნ. მაწველოვამ — ო. შათირიშვილს, ო. იგნატიევამ — ე. შომშვილს, ლ. ნაჭყებიამ — მ. ლოლიშვილს. დანარჩენი პარტიები გადაიდო. გუშინ გათამაშდა გადადებული პარტიები, დღეს გაიმართება მორიგი მე-4 ტური.

3 ტურის შემდეგ წინ არის ნ. გაფრინდაშვილი, რომელსაც 3 ქულა აქვს.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.


# ლენინის ორდენოსანი რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრი

წარმოდგენები 5-დან 29 აპრილამდე ჩათვლით.

ხუთშაბათს 5 აპრილს დღისით
მ. მრევლიშვილი
**ბარათაშვილი**

ხუთშაბათს 5 აპრილს საღამოს
ი. ჭავჭავაძე
**გლახის ნაამბობი**

პარასკევს 6 აპრილს
სოფოკლე
**ოიდიპოს მეფე**

შაბათს 7 აპრილს
სოფოკლე
**ოიდიპოს მეფე**

კვირას 8 აპრილს საღამოს
სოფოკლე
**ოიდიპოს მეფე**

ორშაბათს 9 აპრილს
თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის შეხვედრა თბილისის ხელოვნების მუშაკებთან.
სოფოკლე
**ოიდიპოს მეფე**

სამშაბათს 10 აპრილს
ი. ჭავჭავაძე
**გლახის ნაამბობი**

ოთხშაბათს 11 აპრილს
სოფოკლე
**ოიდიპოს მეფე**

ხუთშაბათს 12 აპრილს
სოფოკლე
**ოიდიპოს მეფე**

პარასკევს 13 აპრილს
სოფოკლე
**ოიდიპოს მეფე**

შაბათს 14 აპრილს
მ. მრევლიშვილი
**ბარათაშვილი**

კვირას 15 აპრილს დღისით
მ. მრევლიშვილი
**ბარათაშვილი**

კვირას 15 აპრილს საღამოს
ვ. როზოვი
**ხალისიანი მეგობრები**

ორშაბათს 16 აპრილს
სტალინური პრემიის ლაურეატის მსახიობ ვალერიან დოლიძის ბენეფისი. დაწვრილებით ცალკე აფიშებში.

სამშაბათს 17 აპრილს
ი. ჭავჭავაძე
**გლახის ნაამბობი**

ოთხშაბათს 18 აპრილს
სოფოკლე
**ოიდიპოს მეფე**

ხუთშაბათს 19 აპრილს
სოფოკლე
**ოიდიპოს მეფე**

პარასკევს 20 აპრილს
სოფოკლე
**ოიდიპოს მეფე**

შაბათს 21 აპრილს
ი. პოპოვი
პირველად ამ სეზონში
**ოჯახი**

კვირას 22 აპრილს დღისით
ი. პოპოვი
**ოჯახი**

კვირას 22 აპრილს საღამოს
ი. პოპოვი
**ოჯახი**

სამშაბათს 24 აპრილს
ლ. ქიაჩელი
**ტარიელ გოლუა**

ოთხშაბათს 25 აპრილს
ლ. ქიაჩელი
**ტარიელ გოლუა**

ხუთშაბათს 26 აპრილს
უ. შექსპირი
**ოტელო**

პარასკევს 27 აპრილს
ჯ. ფლეტჩერი
**ესპანელი მღვდელი**

შაბათს 28 აპრილს
მიხეილ ჯავახიშვილი
**ჩვენებურები**

კვირას 29 აპრილს დღისით
ხ. შანშიაშვილი
**ხევისბერი გოჩა**

კვირას 29 აპრილს საღამოს
მიხეილ ჯავახიშვილი
**ჩვენებურები**

მზადდება ი. ვაკელის კომედია „საქმიანი კაცი“

წარმოდგენების დასაწყისი საღამოს 8 საათზე, დღისით 12 საათზე. ბილეთები იყიდება თეატრის და ცენტრალურ თეატრალურ სალაროებში. წარმოდგენაზე არ დაიშვებიან: საღამოს—მოზარდები 16 წლამდე, დღისით—ბავშვები 10 წლამდე, ხოლო „ოიდიპოს მეფეზე“ დღისით და საღამოს—მოზარდები 16 წლამდე.

დირექცია.



# დღეს თბილისის თეატრებში

**ოპერისა და ბალეტის** — გორდა (დილას), ქეთო და კოტე (საღამოს), **რუსთაველის სახელობის** — ბარათაშვილი (დილას), გლახის ნაამბობი (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — ზვავი (დილას), ნანა (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — უბედური შემთხვევა (დილა-საღამოს), **მუსიკალური კომედიის** — საყვარელი დისშვილი (დილას), სასიძოები (საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული**—აჩაკუნე (აბონემენტი № 30, 12 ს.), კოჭლი მეწისქვილე (აბონემენტი № 45, 5 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ნაცარქექია (11 ს. და 5 ს.), **თოჯინების ქართული** — ბურატინოს თავგადასავალი (11 ს. და 3 ს.).

## კინოთეატრებში

**რუსთაველის სახელობის, ამირანი, ისანი, პლეხანოვის სახელობის კლუბი** — ოტელო, **ოქტომბერი, სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის, თბილისი, კიროვის სახელობის პარკი** — გზები და ბედი, **კომკავშირელი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი** — ორი კაპიტანი, **კოლხიდა, დიდუბე** — ჩვენი დირექტორი, **ოფიცერთა სახლი, გორკის სახელობის კულტურის სახლი** — მშრალი კანონი, **კოლმეურნე** — რუმიანცევის საქმე, **ვოროშილოვის სახელობის კლუბი, კომუნარების ბაღი** — მოგზაურობა არგენტინაში.



7 აპრილს
# ფეხბურთი
სსრ კავშირის პირველობა „ა“ კლასის გუნდებს შორის
„სპარტაკი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი)
დუბლშემადგენლობები
დასაწყისი 3 საათზე.
„სპარტაკი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი)
ძირითადი შემადგენლობები
დასაწყისი 5 საათზე.

წვიმიანი ამინდის შემთხვევაში დუბლშემადგენლობათა თამაში გადატანილ იქნება სხვა სტადიონზე.

ბილეთები წინასწარ გაიყიდება 5 აპრილს „დინამოს“ სტადიონის სალაროებში დილის 10 საათიდან.

აბონემენტებზე ბილეთების გაყიდვის წესი წინანდელია.


მეუღლე აკაკი, შვილები რომან, ოთარ, მშობლები ლუბა, სეფე, დები მერი, ლამარა, ძმები სულიკო, რეზო იუწყებიან **ეკატერინე სეფეს ასულ ამაშუკელი-ჯიქიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 8 ს. გამოსვენება 8-IV, 2 ს. ვიბორგის ქ. № 5 (ვეძისი).

თბილისის პირველი საშუალო სკოლის თანამშრომლები იუწყებიან **ვარლამ ნესტორის-ძე დაშნიანის** გარდაცვალებას. გამოსვენება 5-IV, 5 ს. ხეთაგუროვის ქ. № 93.

შვილები ევგენი, თამარ, ლილი, ვერა, სიძეები ევგენი, შალვა ოჯახებით იუწყებიან **ელისაბედ მიხეილის ასულ მგალობლიშვილი-კალანდარიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 5, 6-IV, 8 ს. გამოსვენება 7-IV, 5 ს. ახუნდოვის ქ. № 11.

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექცია, პარტორგანიზაცია, ადგილკომი და თანამშრომლები იუწყებიან მუზეუმის დირექტორის **გიორგი თედორეს-ძე ხტურუას** გარდაცვალებას. გამოსვენება 7-IV, 2 ს. ვაჟა-ფშაველას ქ. № 2.

დედა ანეტა, მეუღლე ნატო, შვილები ანზორ, იზოლდა, ძმები ვალერიან, ბენია ოჯახებით, დები კეკელა, კატო იუწყებიან **დიმიტრი ივანეს-ძე გუნთაიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7-IV, 8 ს. გამოსვენება 8-IV, 3 ს. ბინიდან — აზიზბეკოვის ქ. № 5.

მეუღლე ტატიანა, შვილები როლანდ, ჯემალ, ნანული იუწყებიან **ალექსანდრე ვასილის-ძე ქაჩიბაიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 7-IV ქ. ფოთში. გამოსვენება ბინიდან — ჯულაშვილის ქ. № 23.

მეუღლე კატო, შვილები ვალოდია, ქეთო, ზინა, მარიკა, სერგო, ლოლა, ძმა ივანე ოჯახებით იუწყებიან **პავლე კიმოთეს-ძე მანჯგალაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-IV სოფელ დანირში (სამტრედიის რაიონს).

მეუღლე ესე, შვილები ზაურ, ალექსანდრე, დები ანეტა, ეკატერინე ქარჩავები იუწყებიან **ანა პავლეს ასულ ტაკიძე-ქარჩავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-IV, 4 ს. დაბა სურამში.

შვილი ოლია, სიძე პეტრე ნიკიტინი იუწყებიან **დავით გიორგის-ძე ჩიტაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 5-IV, 5 ს. ბინიდან—გოგებაშვილის მე-3 შესახვევი № 1.

მშობლები ოლია, სევასტი, და მედეა, ძმა ალიოშა ხუროძეები იუწყებიან **ეთერ სევასტის ასულ ხუროძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-IV, 6 ს. დაბა გეგეჭკორში.

შვილები ცირა, ნორა, ნინო, ფარნაოზ ოჯახებით იუწყებიან **ანა ივანეს ასულ სულხანიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 7 ს. გამოსვენება 8-IV, 3 ს. ბინიდან—ლენინის ქ. № 30.

უე 00176 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.